

გახტანგ ჭანკოტაძე

წიგნი ეძღვნება ანგარდაცვლილი  
გორელების ხსოვნას

...და

ვიართეზ

სართელს

(ხსოვნის წიგნი)

ნაწილი მესამე

თბილისი  
2008

## წიგნის პირველ ნაწილში შეტანილია:

აბულაძე ალექსი, აკოფაშვილი ვახტანგი, ამბროლაძე ვახტანგი, ბაზანდა-რაშვილი ავთანდილი, ბარამიძე ბადრი, ბასიშვილი გიორგი, ბეჭაური გენო, ბიძინაშვილი ალექსანდრე, ბურჯანაძე თენგიზი, გაგნიძე ბეჟანი, გამგებელი ზურაბი, გოგოლაძე გივი, გვერდწითელი თეიმურაზი, გულაძე დავითი, დაბრუნდაშვილი გურამი, დადიანი დავითი, დადიანი ვალიკო, ზაზუნაშვილი ვანო, ზარნაძე ჰამ-ლეტი, თურაზაშვილი კობა, კერესელიძე რობერტი, კობერიძე აფენდი, კობერიძე გურგენი, კოშუაშვილი მირიანი, კუთხაშვილი გიორგი, ლალუბაშვილი გიორგი, ლაცაბიძე მიხეილი, მასლუაძე გივი, მერაბიშვილი გურამი (გულკა), მესროფოვი სეირანი, მირუაშვილი გრიგოლი (გრიშა), მუქნიაშვილი გიორგი, ნადირაშვილი გიორგი, ნადირაძე ლანგო, ნუცუბიძე გურამი, ოქროპირიძე ოთარი, რობაქიძე ჭემალი, სამადალაშვილი ავთანდილი, სოსანიძე ვანო, ფაჩოშვილი ვანო, ქილი-ტაური თენგიზი, ღონლაძე თემური, ყვინოშვილი ოთარი, შაფთოშვილი მიხეილი, შერმაღინი გივი, ჩალაური ყარამანი, ჩიტაია გიორგი, ჩუბინიძე მერაბი, წყრილა-აშვილი იოსები, ხოჯევანიშვილი სიკო, ხუციშვილი ელუარდი, ჯაფარიძე ჯუმბერი

## წიგნის მეორე ნაწილში შეტანილია:

აბაიძე ივანე, აბრამიშვილი გიორგი, ადგიშვილი რომანი, არმაკუნი მათე, ბიჩინაშ-ვილი ზაური, გაბუნია გურამი, გერმანიშვილი ასლანი, გიორგაძე ანზორი, გოციორიძე ბაგრატი, გოციორიძე როლანდი, თავაქლოვი კარლო, კარაბეტიანი ზაენი, კიკაბიძე თეო-ფილე, კიკნაძე ვლადიმერი, კლიშიაშვილი ვაჟა, კორინთელი ოთარი, მაკრახიძე მირიანი, მემანიშვილი ზაალი, ნადირაძე პეტრე, ოქროპირიძე სოფიო, პატარაძე გიორგი (ბონ-დრო), გიგაური თამარი, სომშიშვილი ანზორი, ქორჩაშვილი ალექსი, ქურდოვანიძე თემო, ჩუხრუკიძე ევგენია, ჩხიკვაძე ნიკოლოზი, ხირსელი თამარი, ჭელიძე ოთარი (გუჭურა), ხუბულური ირაკლი, დედა-შვილი ჯულიეტა ხაჩიძე-ხუბულურისა და ზურაბ ხუბულური.

წიგნი გამოიცა გარდაცვლილთა ანლობელ-ნათე-საგებისა და ავტორის ერთობლივი ძალისხმევით.

**რედაქტორი ა. ბიძინაშვილი**

**მხატვარი ნ. ყოჭუაშვილი**

**ავტორის ფოტო მ. ვენაძეშვილისა**

## ავტორისაბან

წინამდებარე წიგნის პირველი ნაწილის გამოსვლის შემდეგ (იხილეთ ქ. თბილისში ეროვნულ (საჯარო) და ქ. გორის ცენტრალურ ბიბლიოთეკებში, ასევე ეთნოგრაფიულ მუზეუმში), მრავალმა ადამიანმა დამირეკა და თავისი მოსაზრება გამიზიარა. ბევრმა მადლობა მითხრა კარგი წიგნისა და მისი ისტორიული მნიშვნელობის შესახებ, ზოგმა სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ წიგნი არ არის გაყიდვაში, მაგანმა შენიშვნები და რჩევები მომცა და ა.შ.

მრავალრიცხოვან სატელეფონო საუბრებში და პირადი შეხვედრების დროს გამოიკვეთა მთავარი – მოსახლეობის დიდ ნაწილს სურს გავრძელებს წიგნის გამოცემა და მასში ადგილი დაიმკვიდროს არამხოლოდ ე.წ. გამორჩეულმა და პროულარულმა აწვარდაცვლილმა ადამიანებმა (ბიოგრაფიული მონაცემები, ფოტოსურათები და ცხოვრებისეული საინტერესო ეპიზოდები), არამედ ყველამ, ვისი სახელის ხსოვნის უკვდავყოფასაც მოისურვებენ ოჯახის წევრები და ახლობელ-ნათესავები თუ მეგობრები.

ვფიქრობ, რომ ასეთ წიგნთა კრებული (კატალოგის სახით) იქნებოდა გორის უახლესი ისტორიის მნიშვნელოვანი დოკუმენტური ნაწილი, რაც მომავალ თაობებს მისცემს შესაძლებლობას, ბევრი რამ გაიგოს წინაპართა ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

გავითვალისწინე რა საზოგადოების დიდი ნაწილის სურვილი, მკითხველს ვთავაზობ „ხსოვნის წიგნის“ („...და ვანთებ სანთელს“) მესამე ნაწილს.

მიმდინარეობს მასალების მოძიება და მომზადება წიგნის მეოთხე ნაწილისათვის (ქ. გორი, სტალინის 24, ბინა 6. ტელ: 7-81-81, 893 62-17-56).

## არსენიკე შოთა



ქართული ინტელიგენციის ერთ-ერთი შესანიშნავი წარმომადგენელი, პედაგოგიური მეცნიერების თვალსაჩინო მოღვაწე, უმაღლესი დონის ერუდიტი, დახვეწილი კულტურის, მიმზიდველი და სასიამოვნო გარეგნობის, სპეტაკი სულისა და თვითმყოფადი იუმორის მქონე კაცი, ადამიანი, რომელიც ალამაზებდა ქართულ საზოგადოებას.

მხოლოდ ასეთი ეპითეტებით შეიძლება გავიხსენოთ შოთა არსენიკე, რომლის შესახებაც, უდავოდ მეტის თქმა შეუძლიათ მის კოლეგებს, მეგობრებს, ახლობელ-ნათესაებს.

გიორგი ავალიანი (ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი): „...უღამაზესი აღნაგობის, ყოველთვის სასიამოვნო გარეგნობის კაცი აჯადოებდა მსმენელს მაღალგანათლებულობით, ორატორული ნიჭითა და გამოსათქმელის საინტერესოდ წარმოთქმით, როგორც წესი – ზეპირად.

ბატონი შოთა იყო უდიდესად ერუდირებული და უშუალო პიროვნება, ასეთი მრავალი დადებითი თვისებების მქონე ინტელიგენტს მე იშვიათად შევხვედრივარ. ბატონმა შოთამ თან წაიღო მის მიერ გამოზრდილი ათასობით პედაგოგის უდიდესი სიყვარული და კეთილი მოგონება, ჩვენ კი დაგვიტოვა უღრმესი სევდა-წუხილი იმის გამო, რომ აწი ვეღარ ვიხილავთ მის მომხიბვლელ, ნათელ სახეს“.

გედევან ხელაია (ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ალექსანდრე იაშვილი (პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი): „შოთა არსენიკე იყო გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის უერთგულესი მსახური, ქარ-

თულ პედაგოგიურ მეცნიერებაში ერთ-ერთი პროფესიონალი, მაღალკვალიფიციური ლექტორი, ახალგაზრდობის დიდი აღმზრდელი, გამონჩენილი კოლეგა და მეგობარი. იგი ერთ-ერთი დიდი ქართველი პედაგოგ-მეცნიერია, რომელმაც დაიცვა და შემოქმედებითად განავითარა იაკობ გოგებაშვილის მეთოდური მემკვიდრეობა. მას შემთხვევითობის, ბედ-იღბლისა თუ ფორტუნას იმედით არასოდეს უცხოვრია. იგი ყოველთვის მოუსვენარი, იმპულსური და დიდად შრომისმოყვარე პიროვნება იყო. მას ამშვენებდა ჭეშმარიტი ინტელიგენტური ეთიკა, უბრალოება, გულისხმიერება, ორგანიზატორული ნიჭი და უნარი, საქმისადმი უსაზღვრო ერთგულება, პროფესიონალური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესანიშნავი შეხამება... მშობლიური ენა მიაჩნდა პიროვნების სრულყოფის უპირველეს და აუცილებელ საფუძვლად... მან ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში უხელმძღვანელა პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრას. ამ დროის მონაკვეთში მომზადდა რამდენიმე წიგნი და ათეულობით ბროშურა და სტატია აქტიურ საკითხებზე. ბატონი შოთა მონაწილეა მრავალი სამეცნიერო სესიისა და კონფერენციისა, გამოცემული აქვს 50-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი-მონოგრაფია, დამხმარე სახელმძღვანელოები, მეთოდური მითითებანი, წერილები, რომლებშიც გაშუქებულია მეცნიერების აქტუალური პრობლემები. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ნაშრომი „ცხოვრებისათვის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეთა მომზადების საკითხები“. ამ ნაშრომში მაღალმეცნიერულ დონეზეა განხილული მოსწავლეთა მომზადების თავისებურებანი, მიზნები, გადაუჭრელი პრობლემები და პერსპექტივები.

ბატონი შოთა თავის აღსაზრდელებს საქმით ასწავლიდა ქართველი ხალხის სიყვარულს, სამშობლოსადმი ერთგულებას, პატრიოტიზმს და ა.შ.

შოთა არსენიკე გახლდათ საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. წლების განმავლობაში მუშაობდა პრორექტორად იდეოლოგიურ-აღმზრდელობით დარგში, ხელმძღვანელობდა ახალგაზრდობის აღზრდის სექციას, მინიჭებული ჰქონდა უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება, დაჯილდოებული იყო „ღირსების ორდენით“, იაკობ გოგებაშვილის სახელობის მედლით და საპატიო სიგელით.

...ყველგან და ყოველთვის გასაოცარ გამძლეობას და თმენის უნარს ამჟღავნებდა – ქალიშვილის, სიძისა და მეუღლის თითქმის ერთდროულად დაკარგვამ უმძიმესი ტრავმა მიაყენა ბატონ შოთას, მაგრამ მან შეძლო შეუძლებელი და ყველას გასაოცრად და გასახარად ბრძოლა გამოუცხადა ბედისწერის უკუღმართობას და სულიერი და ფიზიკური ძალების მობილიზებით წარმატებით განაგრძო თავისი საქმიანობა... სამწუხაროდ, მან ვერ შეძლო ყველა ჩანაფიქრის ბოლომდე გასრულება“.

**ხურაბ ტიფელიძე** (საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი): „შოთა ტარასის ძე არსენიძე, შოთა ბატონი, ჩემში ასოცირდება როგორც კაცი. წარმოსადგეი და ახალგაზრდობიდან ჭაღარაშერეული – ბრძენი, ვითარცა სოლომონი, ყოველთვის შემართული თვალებითა და ნათელი სახით, ნაბიჯითა დინჯითა და მეტყველებით დამაჯერებელი... გაიფლავა მისი ამქვეყნად გამონათებიდან ოთხმოცდარობა წელმა და გაფრინდა სული ნათელი. ექვსი ათეული წელი იღვაწა ღვაწლითა აუწონელით, ინათა და დაიფერფლა კაცური კაცობით დატვირთული და დამძიმებული...“

დიდი გოგებაშვილის შემდეგ, შიდა ქართლის პედაგოგიურ აზროვნებას არ მოვლენია ბევრი მსგავსი შოთა ბატონისა – პატრონისა და აღმზრდელისა, დამრიგებლისა და მასწავლებლისა მოზარდი თაობისა – ახალგაზრდობისა და არა მხოლოდ ახალგაზრდობისა და არა მარტო შიდა ქართლში.

გასრულდა სანთელივით, წაბრძანდა, მაგრამ სანთელი მისი აზრისა და სიტბო მისი გულისა არ ჩამქრალა, არ ჩანელუბულა და არც ჩაქრება და არც ჩანელდება. იგი დღენიადაგ გადაეცემოდა და გადაეცემა მომავალ თაობას საქმითა მისი აღზრდილებისა და კიდევ იმათი აღსაზრდელებისა. იციალებს მისი ლამპარი-ჩირაღდანი მსგავსად დიდი მნათობისა.

დიახ, შოთა ბატონი, ვით ადამიანი ადამიანური, უცვლელი, მარადეჟამ დაუთრობელი თამადა სუფრისა და საღი და ჭეშმარიტი აზროვნებისა, მჭერმეტყველი და გაწონასწორებული, მაგალითის მიმცემი გარშემომყოფთათვის. აღმზრდელი აღმზრდელთა და მასწავლებელი მასწავლებელთა. ერთგული და გამტანი, მიმნდობი, ვითარცა ბავშვი, თუმცა გონებით გამჭრიახი და სიტყვით მტკიცე. აზრი იყო მისი ნათელი, მიზანი – საღი, მიზანსწრაფული და ყოველთვის მიზანმიღწეული.

გამოირჩეოდა დიდი ხელოვნებით ადამიანებთან ურთიერთობაში. პატივისმცემელი სხვათა ნიჭისა, ახალგაზრდობისა, სტუდენტობისა. ლექცია მისი იყო ყველასთვის გასაგები, გახლდათ დიდოსტატი აზრის გადაცემისა – მომაჯადოებელი მსმენელისა.

ბატონ შოთას უყვარდა სიყვარული, სძულდა სიძულვილი. მეგობრობაც შეეძლო და მიჯნურობაც და პრაქტიკულად ამტკიცებდა ყოველივე ამას, მის გვერდით მდგომ ახალგაზრდა, ერთგულ, პატიოსან, სიკეთისა და სათნოების განსახიერება ქალბატონ ოლიკო ჭალიძესთან ერთად. პირველი მეუღლის სიკვდილის შემდეგ სწორედ მასთან რომ გაატარა სიცოცხლის ბოლო ათი წელი, წლები ახალი სიჭაბუკისა და დაგვიანებული, მაგრამ მარადიული, ჭეშმარიტი სიყვარულისა. იმ სიყვარულისა, რომლის გამოხატვასაც ქალბატონი ოლიკო, კდემამოსილებითა და სიკეთით აღსავსე მრავალი სახის საქმიანობასთან ერთად, მიძღვნილი შოთა ბატონის ყოფილი მეუღლის გარდაცვლილი შვილისა თუ იმქვეყნად წასული სიძის პატივსაცემად, მისი გამოუმზიურებული წიგნის გამოქვეყნებითაც რომ აპირებს.

დიახ, ბატონი შოთა, ზეჭარბად მოწყურებული სიცოცხლისა და უარყოფელი სიკვდილისა – არ წაუწოქია და არც წაუბოროძიკებია, არც თვალებში შეუხედავს მისთვის, ისე მიველინა მარადისობაში.

ცხოვრების დევიზად დამრჩა, მის აღზრდილსა და მოწაფეს, განმანათლებელთა განმანათლებლისა და დამრიგებელთა დამრიგებლის, დიდი აღმზრდელისა და პედაგოგის, შოთა ბატონის მირონცხება, რომელსაც ჩემებური ინტერპრეტაციით წარმოვადგენ:

„მიბრწყინდი გზამართალი სამოთხისა კარისას,

წამი დაგვრჩა სიცოცხლე მოკვდავთ ყველა გვარისას“.

შოთა ტარასის ძე არსენიძე დაიბადა 1925 წლის 5 აგვისტოს საჩხერის რაიონის სოფელ გორისაში. 1945 წელს წარმატებით დაამთავრა გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. მუშაობდა ასპინძის რაიონში ჯერ პედაგოგად, შემდეგ კი განათლების განყოფილების მეთოდისტად.

1956 წელს დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. ამ დროი-

დან მოყოლებული სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში და შემდეგ ინსტიტუტის ბაზაზე დაფუძნებულ სახელმწიფო უნივერსიტეტში სხვადასხვა თანამდებობაზე. გამოაქვეყნა ასეულობით პუბლიცისტური წერილი განათლების სფეროს პრობლემატურ საკითხებზე. ოპონირება გაუწია ექვს საკანდიდატო და ორ სადოქტორო დისერტაციას.

ახალგაზრდობის აღზრდის საკითხებისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიებში აქტიური მონაწილეობისათვის, საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ საჩუქრად გადასცა ბიბლია.

ბატონმა შოთამ 2002 წელს დაასრულა ნაშრომი „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეთა მოქალაქეობრივი აღზრდის პედაგოგიური საფუძვლები“, რომლის გამოცემაც, სამწუხაროდ, ვეღარ მოასწრო.



შოთა არსენიძე გარდაიცვალა 2007 წლის 13 იანვარს. დაკრძალულია გორში, კვერნაქის სასაფლაოზე.

„სიყვარული უყვარდა და მიჯნურობაც შეეძლო“ – აღნიშნავს ბატონი შოთას მეგობარი და კოლეგა ზ. ტიელიძე. ამ სიტყვების დასადასტურებლად, თავად ბატონი შოთას სიტყვებიც კმარა ლექსად დაწერილი. ეს ლექსი ქალბატონ ოლიკოსაც გაუთავისებია და სინანულით გვამცნობს: „მას რომ არ დაეწერა ეს სიტყვები, მე დავწერდიო“:

„სიტყვას მაინც ნუ დამიტოვთ უთქმელს,  
რომ ნათქვამში გრძნობა გამოვკვეთო,  
შენს გარეშე გატარებულ წუთებს,  
სიცოცხლეში ნუ ჩამითვლი, ღმერთო!“

## ბერუაშვილი ღურმიშანი

ძნელია, კულა გლდანელის (ვანო ბეროს ძე ყირიმელი), ჩიტო კალატოზიშვილის, სანდრო კანდელაკის, არსენ მეკოკიშვილისა და წარსულში სხვა მრავალი ფალავნის შემდეგ გააოცო მაყურებელი და გულშემატკივარი, თუ სპეციალისტები ჭიდაობის სანახაობრივი მხარით და მიღწეული შედეგებით, მაგრამ ღურმიშან ბერუაშვილმა ეს შეძლო და ჭიდაობის, მისთვის დამახასიათებელი მანერით, თუ ტექნი-



კური არსენალის სიმდიდრით აღტაცებაში მოიყვანა არამარტო ქართველი, არამედ ევროპელი მაყურებელიც და ერთხელ კიდევ დაუმტკიცა მსოფლიოს, რომ საქართველო ღირსეულად და სამართლიანად იწოდება ჭიდაობის მექად.

მძლავრ და საამო ექოდ ეფინებოდა საქართველოს ველ-მინდვრებს ღურმიშან ბერუაშვილის ჭიდაობით მოხიბლული დასავლეთ თუ აღმოსავლეთ ევროპის სპორტულ არენებზე დამსწრე მაყურებლის მქუხარე ტაშისა და ოვაციების ხმა. სიამაყის უამრავი წუთი უჩუქებია ღურმიშანს მშობლიური კუთხისა და ქართველი ხალხისათვის.

და მაინც, რითი იყო გამორჩეული ღურმიშან ბერუაშვილი, რითი მოხიბლა მან ჭიდაობის ათეულ ათასობით მაყურებელი, რითი შეაყვარა და სამუდამოდ დაამახსოვრა თავი საზოგადოებას? მოვიშველიებ სხვათა გამონათქვამებს:

გივი ზაუტაშვილი (დამსახურებული მწვრთნელი): „...ღურმიშანთან ჭიდაობამ დამახსლოვა და მალე დავრ-

წმუნდი მისი, როგორც დიდი სპორტსმენის, დიადი სამეგობრო ადამიანის, თავდადებული მეოჯახის, გულკეთილ და სტუმართმოყვარე პიროვნებაში. იგი იყო ჭიდაობის რამდენიმე სახეობის ოსტატი. მისთვის, როგორც ქართულ ჭიდაობაში წრთობილი ფალავნისათვის, თანაბრად ხელმისაწვდომი იყო სამბოც და ძიუდოც. იგი იყო ევროპის, ყოფილი საბჭოთა კავშირის, უმაღლესი სასწავლებლებისა და საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი“.

ჯემალ ინჯია (მწერალი): „ღურმიშან ბერუაშვილი რანდი იყო საჭიდაო სარბიელზეც და მის გარეთაც. ვერავინ გაიხსენებს მის საძრახის საქციელს, სიკეთეს კი – რამდენ-

საც ინებებთ. დურმიშხანი ამქვეყნად სიკეთის სათესად იყო მოვლენილი, მწუხარეს ანუგეშებდა, გაჭირვებულს ეხმარებოდა, სუსტს არავის დააჩაგვრინებდა, ბორცვება სძაგდა...”

**გურამ პაპიტაშვილი** (სპორტული სამყაროს თვალსაჩინო მოღვაწე): „ბაქოში, დურმიშხანი და იქ მცხოვრები გიორგი უნდილაშვილი უნდა შერკინებოდნენ ერთმანეთს. დურო გაეხუმრა მეტოქეს – გოგი, ან თავი მოიავადმყოფე, ან სხვა რაღაც მოახერხე, თორემ... მერე არ გეწყინოს“.

გიორგი დუროზე ორჯერ მძიმე იყო, თუმცა უამისოდაც არავის გაექცეოდა სარბიელიდან. დურომ ორ მეტრამდე სიმაღლიდან „გაქცეული კისრულით“ მოისროლა მეტოქე. საჭიდაო ხალიჩას ბურიაყი აუვიდა. დურო გადაეხვია გოლით ძმას და ჩასწურჩულა – ხომ გაგაფრთხილე, რატომ არ დამიჯერეო...“

თითოეული ადამიანი, როგორც ცოცხალი არსება, ერთადერთია, განსხვავდება ყველა დანარჩენი ადამიანისაგან გარეგნულადაც და შინაგანი სამყაროთი და სულიერებითაც. ისტორიულად ცნობილია, რომ ძლიერი სპორტსმენების დიდი ნაწილი, განსაკუთრებით ორთაბრძოლების (კრივი, ჭიდაობა და ა.შ.) პროფესიისა, არიან, როგორც წესი, გულთბილები, მიმტევებლები და მომთმენნი. ასეთთა კატეგორიის გამორჩეული სპორტსმენი და პიროვნება გახლდათ დურმიშხან ბერუაშვილი.

**ვიქტორ პავლიაშვილი** (პროფესორი): „დურმიშხანი იყო სრულყოფილი პიროვნება, მაღალზნეობრივი ადამიანი და გამორჩეული, დიდი სპორტსმენი. მართალი და ხალასი გულის პატრონს უყვარდა სიცოცხლე, ადამიანთა მოდგმა, უხაროდა სხვისი წარმატებები, იყო ალალი და უანგარო...“

დურმიშხან ლაზარეს ძე ბერუაშვილი დაიბადა ქარელის რაიონის სოფელ ფცაში 1935 წლის 17 აპრილს ცნობილ და პატივსაცემ ოჯახში. დურმიშხანის მამა, ბატონი ლაზარე სიმონის ძე ბერუაშვილი გახლდათ სოფლის მეურნეობის წარჩინებული მუშაკი, მთელი რიგი ნოვაციების ავტორი, სტუმართმოყვარე და გულგახსნილი ადამიანი, რომელმაც ქალბატონ ლიზა ხარაზიშვილთან ერთად შექმნა შესანიშნავი ოჯახი, ქვეყანას აჩუქა ხუთი ერთმანეთზე უკეთესი შვილი (დურმიშხანი, ნოე, ვენერა, სიმონი, ოლიკო).

დურმიშხან ბერუაშვილის ბავშვობა დიდად არ განსხვავდებოდა

ბოდა სხვებისგან. იყო სწავლა, საბავშვო სათამაშოები, ბიჭური ცელქობანი. წარუმატებლობაც და გამარჯვების სიხარულიც. ერთით კი მართლაც განსხვავდებოდა სხვებისგან – პატარაობიდანვე ეტყობოდა კუნთმაგრობა და სისხარტე, რაც დიდი ალბათობით განაპირობებდა იმის შესაძლებლობას, რომ იგი გააგრძელებდა ჭიდაობის მოტრფიალე ბერუაშვილების ტრადიციას და ასახელებდა ქვეყანას. აკი ასეც მოხდა – მამის, ბიძის და ძმისგან გადმოცემული ესტაფეტა სახელოვნად ატარა და სიმონ, მალხაზ და ელგუჯა ბერუაშვილებიდან კვლავ დურმიშხანს, ამჯერად შვილიშვილს, პაპის მოსახელეს, დურიკოს ჩააბარა. ტრადიცია გრძელდება. როგორც ჯემალ ინჯია ამბობს, გენი მუშაობს და მუშაობს სასახელოდ. დურმიშხანი (დურიკო) – შვილიშვილი ამაყად დგას წინაპართა კვალზე. იგი არის ევროპისა და საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ძიუდოში.

დურმიშხან ბერუაშვილმა (უფროსმა) თავისი ცხოვრება სამუდამოდ დაუკავშირა მშვენიერ ქალბატონს ჟუჟუნა ნიკოლოზის ასულ ირემადეს და სიცოცხლის ბოლომდე ტკბებოდა ოჯახური ურთიერთობებით და შვილების გაზრდით. არც აქ უღალატა დურმიშხანმა ბერუაშვილების ტრადიციას და ოთხი შვილის (ელგუჯა, ნანა, ელიზა, ნატო) გაზრდა და დაფრთხილება დაისახა ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მიზნად.

ელგუჯამ (გუჯამ, როგორც მას გორში ეძახიან) ასახელა თავისი მამა-პაპა და მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია – იგი არის ყოფილი საბჭოთა კავშირის სტუდენტური თამაშების, საქართველოს პირველობების მრავალგზის და სპარტაკიადის ჩემპიონი. გუჯას ამჟამად უკავია მნიშვნელოვანი თანამდებობა გორის სამეურნეო სფეროში.

დურმიშხან ბერუაშვილმა მთელი თავისი ცხოვრებით დაამტკიცა სამშობლოს ერთგულება, ოჯახის თავყანისცემა, მეგობრებისა და ახლობელ-ნათესავების სიყვარული და თავისი რაინდული ყოფით სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი ათიათასობით ადამიანთა გულებში. არასოდეს დაიბნდებოდა მისი ხსოვნა, რაზეც მეტყველებს გორში ყოველწლიურად მისი სახელობის ტურნირის ჩატარება ძიუდოისტთა შორის.

ბევრი რამ მოასწრო დურმიშხან ბერუაშვილმა, მაგრამ ბევრი ოცნება და მიზანი დარჩა აღუსრულებელი, მიუწვდომე-

ლი იმ ტრაგედიის გამო, რომელიც 1978 წლის 24 ოქტომბერს თავს დაატყდა ბერუაშვილების სახელოვან ოჯახს. მშობლიურ სოფელ ფცაში დაიმკვიდრა სამუდამო სასუფეველი დიდმა ქართველმა ფალავანმა. სიცოცხლე კი გრძელდება და საამაყო მამულიშვილის მიერ გაკვალულ გზას ამაყად მიუყვება მისი მონაგარი – ნათია, დურიკო, ილია, ამიკო, გიორგი, ნინიკო, ლიზი, გურიკა, დათუნა, სანდრო და პატარა ელგუჯა.

## ელბაქიძე ლევანი (ლეო)

ადამიანი სხვადასხვა ნიშან-თვისებითა და ცხოვრების, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, წესით ამახსოვრდება საზოგადოებას.

რით დაამახსოვრა თავი საზოგადოებას ლევან (ლეო) ელბაქიძემ? უპირველესად ღმერთისგან მისთვის მინიჭებული დიდი ადამიანური შინაგანი სითბოთი და კეთილგანწყობით ყველას მიმართ; ოჯახისადმი ამაღლებული ერთგულებით და მოყვასისათვის უანგარო მხარდაჭერის ნება-სურვილით; და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, – მიმზიდველი გარეგნული იერით. მითოლოგიურ გმირებს წააგავდა: მაღალი, მსრუბგაშლილი, მკერდაზიდილი, ძლიერი მკლავებით, ცისფერი თვალებით და ტალღებად დაფენილი ქერა თმებით.

გასული საუკუნის 50-იან წლებში ლეო ელბაქიძე გორში ითვლებოდა ერთ-ერთ სასურველ სასიძოდ. რომ იტყვიან – „გოგოები მტრედის გუნდით დასდევდნენო“ – სწორედ



ასეთი გახლდათ, მაგრამ მისი გულის მონადირება მხოლოდ ერთმა, ლამარა ბახანდარაშვილმა შეძლო. „ტარზანსა“ და „ჯენის“ ეხახდნენ უმშვენიერეს წყვილს გორელები იმ დროისთვის კარგად ცნობილი კინოფილმის („ტარზანი“) მთავარ გმირებთან გარეგნული მსგავსების გამო. ამ წყვილის სიყვარულზე და ურთიერთობაზე ლევენდები გაერცვლდა იმდროინდელ გორში.

ლევან (ლეო) ელბაქიძე დაიბადა 1932 წლის 7 აპრილს გიორგი ელბაქიძისა და მარიამ ყაზარაშვილის შრომისმოყვარე ოჯახში.

სასწავლებლად შეიყვანეს ქ. გორის ე.წ. რკინიგზის სკოლაში. ბავშვობიდანვე გამოამჟღავნა სპორტისადმი ლტოლვა, რასაც მისი კარგი ფიზიკური მონაცემებიც უწყობდა ხელს. მოგვიანებით კი, უკვე გორის, ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი, აქტიურად მონაწილეობდა როგორც ქალაქის, ისე რესპუბლიკური მნიშვნელობის სპორტულ ღონისძიებებში და არაერთ წარმატებასაც მიაღწია, რაზედაც თვალნათლივ მეტყველებს მის მიერ მიღებული სპორტული თანრიგები, პრიზები, დიპლომები, სიგელები და სხვა ჯილდოები თუ პრემიები. საუკეთესოდ თამაშობდა კალათბურთს, ბილიარდს, ჭადრაკს; იყო შესანიშნავი მოფარიკავე (საქართველოს ჩემპიონი. 1953 წ.). აღსანიშნავია, რომ მშობლიურ ინსტიტუტში ხელმძღვანელობდა მოფარიკავეთა სპორტულ სექციას, რაც არ მიუტოვებია ინსტიტუტის დამთავრების შემდეგაც.

და აი, დადგა შრომითი საქმიანობის ხანგრძლივი პერიოდიც და ლეო ელბაქიძე ასევე აქტიურად ჩაება ცხოვრების საინტერესო და მრავალფეროვან ფერხულში. ახალგაზრდა ოჯახი მოითხოვდა სათანადო მზრუნველობასა და ყურადღებას. ოჯახი კი მართლაც საამაყო და სანიმუშო შექმნეს ქალბატონმა ლამარამ და ბატონმა ლევან (ლეო) ელბაქიძემ.

ოჯახის მშვენება – ორი ქალიშვილი ლალი და ლელა; ოთხი შვილიშვილი და ორი შვილთაშვილი. ღირსეული სიძეები არგუნა ღმერთმა ლამარასა და ლევანის ოჯახს: ირაკლი სულეიმანაშვილი და დავით ქურდოვანიძე.

შრომით ასპარეზზეც არ შეურცხვენია თავი ლეო ელბაქიძეს. სხვადასხვა წლებში მუშაობდა სპორტულ ორგანიზაციებში, სპორტული მაღაზიის გამგედ, საქართველოს ვაჭრობის

სამინისტროს „გორვაჭრობის“ სისტემაში, მშენებლობის სამინისტროს №3 ტრესტში და ა.შ.

ძალიან უყვარდა ღეო ელბაქიძეს, დასვენების დღეებში ოჯახის გასეირნება ავტომანქანით. ცოლ-შვილთან და ახლო ნათესავებთან ერთად შემოვლილი ჰქონდა მთელი საქართველო; ეცნობოდნენ ღირსშესანიშნავ ისტორიულ ადგილებს, ინტერესდებოდნენ ამათუიმ კუთხის ტრადიციებით და ეკლესია-მონასტრებით თუ სალოცავებით და სხვა.

სამწუხაროდ, დიდხანს არ დასცალდა ღეო ელბაქიძეს დამტკბარიყო შვილების და შვილიშვილების აღერსითა და მათზე ზრუნვით. გარდაიცვალა 2002 წლის 8 ნოემბერს, მძიმე ავადმყოფობის შედეგად (მაქრიანი დიაბეტი).

დაკრძალულია ქ. გორის კვერნაქის სასაფლაოზე. ღეო ელბაქიძის („ტარზანის“) ხსოვნა არ წაიშლება მისი ოჯახის წევრებისა და ახლობელ-ნათესავების გულებში.

## ელუაშვილი თენგი

*„აქ არის, დედავ, შენი მაღალი  
დანიშნულება და საღმრთო ვალი!  
აღზარდე შვილი, მიეც ძალა სულს,  
საზრდოდ ხმარობდეს ქრისტესა მცნებას,  
შთააგონებდე კაცთა სიყვარულს,  
ძმობას, ერთობას, თავისუფლებას,  
რომ სიკეთისთვის გული უთრთოდეს  
და მომავლისთვის ბედთანა ბრძოდეს“*

*„დაე, თუნდ მოვკვდე, არ მეშინია,  
მაგრამ კი ისე, რომ ჩემი კვალი  
ნახონ მათ, ვინცა ჩემს უკან ვლიან,  
თქვან: აღასრულა მან თვისი ვალი.  
(ილია ჭავჭავაძე)*

შემთხვევით არ წავვიმძღვარებია ეპიგრაფად ჩვენი ნარკვევისათვის სულმნათი ილიას სიტყვები. ქალბატონმა მარიამ ელუაშვილმა მართლაც მოიხადა საღმრთო ვალი და ქვეყანას აღუზარდა ქრისტეს მცნებით ნასაზრდოები ვაჟკაცი (თენგი),

რომელიც ბავშვობიდანვე ეზიარა კაცთა სიყვარულს, ძმობის, ერთობისა და თავისუფლების უკეთილშობილეს მცნებებს. თენგი ელუაშვილმა თავისი ხანმოკლე სიცოცხლით დაამტკიცა, რომ მას სიკეთისთვის უთრთოდა გული და თავისი ქვეყნის ბედნიერი მომავლისთვის საბედისწერო ბრძოლისთვისაც მზად იყო შინაგანად. ყველაფერ ზემონათქვამზე თვალნათლივ მეტყველებს კაცურად განვლილი 25 წელი და მისი ვაჟკაციური სიკვდილის შემდგომ პერიოდში ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი აზრი – ხალხი არ ცდებია: ხალხმა კარგად იცის ღირსეული შვილის დაფასება; ხალხის ხსოვნაში საუკუნოდ რჩებიან თენგოსნაირი რაინდები, რომელთა ნაკვალებზეც იზრდებიან მომავალი თაობები.

ყველაფერი კი დაიწყო 1978 წლის 22 მარტს, როდესაც ღეო და მარიამ ელუაშვილების ოჯახში დაიბადა ვაჟი, რომელსაც სახელად თენგიზი (თენგი, თემო) დაარქვეს.

ქართულ-ოსური კონფლიქტის დასაწყის ეტაპზე თენგოს მშობლიური სოფელი ნიქოზი არ მიუტოვებია მოსახლეობას. ადგილობრივი მაცხოვრებლები პოლიციელებთან ერთად ჩართულნი იყვნენ სადღეღამისო მორიგეობაში და თავგანწირვით იცავდნენ სოფელს მოსალოდნელი საფრთხისგან. თენგი ელუაშვილი, თავის თანატოლებთან ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებდა სოფლის დაცვაში – ესმარებოდნენ მებრძოლებს, როგორც შეეძლოთ; ხან პურს მიაწვდიდნენ და ხან წყალს, არც მძიმე ფიზიკურ შრომას არიდებდნენ თავს. მაშინ თენგი სულ 12-13 წლის ჭაბუკი იყო, მაგრამ ტოლს არ უდებდა არავის ქვეყნისა და მშობლიური სოფლის სიყვარულში – ფეხშიც კი დაიჭრა და კარგა ხნით ჩამოშორდა სასკოლო პროცესებს. მკურნალობის პერიოდში ჩამოუყალიბდა აზრი და გადაწყვიტა გამხდარიყო პროფესიონალი პოლიციელი, რათა



სასტიკი ბრძოლა გამოეცხადებინა ყველა ჯურის დამნაშავე-სათვის, მათთვის ვინც მოსახლეობას მშვიდი ცხოვრების სა-შუალებას არ აძლევდა და ატერორებდა.

თენგო (თემო) ელუაშვილმა დაამთავრა გორის მეოთხე სა-შუალო სკოლა, რის შემდეგაც პირნათლად მოიხადა სავალ-დებულო სამხედრო სამსახური. ახლოვდებოდა საკუთარი ოცნების აღსრულების დრო, მაგრამ თენგომ გადაწყვიტა ჯერ შესაბამისი განათლება მიეღო და დაამთავრა გორის აგრე-რულ მეცნიერებათა აკადემიის იურიდიული ფაკულტეტი.

ახლა კი გზა ხსნილი იყო და თენგომ დაიკავა თავისი ადგილი პოლიციის სპეცრაზმში. მალე შეამჩნიეს მისი მუყაი-თობა, ერთგულება, განათლებულობა და გადაიყვანეს სისხ-ლის სამართლის სამძებროს ოპერატიულ მუშაკად უკვე უმ-ცროსი ლეიტენანტის წოდებით. აქედან იწყება, ყოველგვარი ბოროტების წინააღმდეგ, ბრძოლის პირველი ეტაპი. სხვა უფრო დიდი სახელმწიფოებრივი და ცხოვრებისეული მნიშ-ვნელობის ეტაპების გავლა სამწუხაროდ აღარ ეწერა თენგო ელუაშვილს – ტერორისტის მიერ მუხანათურად ნასროლმა ტყვიამ შეიწირა სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული ახალ-გაზრდა ვაჟკაცის სიცოცხლე.

დაკარგა სოფელმა ნიქოზმა სამაგალითო პიროვნება, ოჯახმა – ერთგული ვაჟკაცი, სამშობლომ – თავდადებული პოლიციელი.

საქართველოს ისტორია არის განუწყვეტელი ომებისა და ბრძოლების ისტორია. საუკუნეების განმავლობაში ვაჟკაცუ-რად ებრძოდა ქართველობა ათასი ჯურის დამპყრობელს. უდიდესი მსხვერპლი გაიღო ჩვენმა ქვეყანამ სხვადასხვა დროს. მრავლად გვეავდნენ და დღესაც გვეავს შავებით შე-მოსილი შვილდაკარგული მშობლები, მაგრამ სულ სხვა ტკივილისა და მწუხარების მომგვრელია, თითქმის სრული მშვიდობიანობის პირობებში, ყაჩადისა და ნაძირადას მიერ ნასროლ ტყვიას შეწირული სიცოცხლე. ძნელია მოიძებნოს სანუგეშებელი სიტყვები თენგოს მშობლებისათვის.

მაგრამ სიცოცხლე ის ფენომენია, რომელიც გმატებს ძალებს, გისახავს სამომავლო ამოცანებს – გასაზრდელი, დასაფრთიანებელი და გასაკეთებელი ხომ ჯერ კიდევ ბევრია ცხოვრებაში და ადამიანიც უძლებს ყოველგვარ გაჭირვებას.

მოკუსმინოთ თენგოს დამწუხარებულ დედას, ქალბატონ

მარიამს („შიდა ქართლი“. აპრილი, 2004 წელი): „მართალია, ხსოვნის დღეა, მაგრამ მე მონატრებას დავარქმევდი... მთელი არსებით, მთელი გულით და ფიქრებით ჩვენ განუყოფელნი ვართ. დედა, ხომ შვილთან ერთად იბადება და შვილთან ერთად ქრება. ახლა შენ გივას (თენგოს ძმა) წილი დედა გესაუბრება. მენატრები თემო, ძალიან მენატრები; გახსოვს, ბავშვობაში ზღაპრებს რომ გიკითხავდით შენ და გივას?! ნატვრის თვალის არსებობას გაჯერებდით. ახლა კი ბოდიშს გიხდი შვილო, არ არსებობს ნატვრის თვალი, ვეძებ და ვერ მიპოვია. სულ იმის ნატვრაში ვარ, ერთი წუთით ისევ ისე ჩავიკრა გულში, როგორც იმ ავბედით დღეს; ჩემი ხელით ჩავაცვი წინა დღით ნაყიდი ახალი პერანგი. სუნამო შემოგას-ხურე, გადაგოცნე და კიბეებზე ჩარბენილს თვალი გამოგაყ-ოლე თემო!.. ერთი კიდევ დაგიძახე, ალბათ გრძნობდა დედის გული. შენც შეჩერდი, ღიმილით ამომხედე და მითხარი – რა იყო, დედი, ჯარში ხომ არ მისტუმრებო. ვაი დედაშენს, ჩემო ხარხარა ბიჭო, რომ კარგად ვერ გაგისტუმრა! ვერ აგიხსნი, შვილო, ჩვენი ოჯახის ყოფას – მამა ძლივს დაფარვატებს, ერთმანეთს ვუმალავთ ცრემლებს, იმას ჩვენი გულისტკენის ეშინია, ჩვენ კი მისი. შენი გაზრდილი ჭკვიანი გივა, შენ რომ ბავშვს ეძახდი, ფრთამოტეხილი ჩიტვიითაა და არ იცის საიდან დაიწყოს ცხოვრება. თითოეულ შენ ნაქონ ნივთს კოც-ნის და ეფერება. დედის ყოფას კი, იცი, ჩემო ბიჭო, რას მივამსგავსებდი?! – გახსოვს, ალბათ, პაპა ხილს რომ შეწამ-ლიდა, თუ დოზა მეტი მოუვიდოდა – იმ ხეს ჯერ ფოთლე-ბი შეუყვითლდებოდა, შემდეგ ტოტები გაუხმებოდა, ბოლოს მთლიანად ხმებოდა. ჰოდა, პაპა ასეთ ხეს ჭრიდა: მეც ასე ვარ, ჩემო ხარხარა ბიჭო, მაგრამ მომჭრელი არავინაა. რო-გორ ვიცოცხლო უშენოდ. ასე მეონია, მე კი არ გამიზრდისარ კარგ ადამიანად – შენ გამზარდე, შენ მასწავლე დედა-შვი-ლური სიყვარული და ის დიდი ერთგულება, რასაც შევება უნდა მიეცა საზოგადოებისათვის. შენი წასვლით კი ეს იმედი დაკარგე. შენ კი არ იდარდო, ჩემო ლომჭაბუკო, შენი ხსოვნა მარადიულია, შენ გმირთა კრებული შვილი ხარ, რომელიც სამშობლოსაც ემსახურება, ერსაც და ბერსაც.

მადლობა მინდა გუთხრა იმ ადამიანებს, რომლებსაც დიდი სიყვარულით ახსოვხარ. შენ პოლიციელ ძმებს შენთან გატარებული არცერთი დღე და დედაშენი არ დავიწყებიათ.

დაბადების დღეს (22 მარტს) მოელი შენი სამშო მოვიდა, რა არ გაიხსენეს, რით არ მანუგეშეს და კიდევ ერთხელ, ერთი დღით მაჩუქეს შენი თავი. მადლობა შენს თანაკლასელებს, შენი უბნის ბიჭებს – შენი ესოდენ დიდი სიყვარულისათვის, მადლობა ყველას, ვინც უჩემოდაც მოდიან შენს საფლავთან თაიგულებით და სანთლებით, მადლობა გოგონებს, რომლებიც ნიქოზის ავტობუსის მგზავრების საშუალებით გიგზავნიან ყვავილებს და ხსოვნის სიტყვებს; შენს ჯარის მეგობრებს სიყვარულით და პატივისცემით რომ მხვდებიან და მანუგეშებელ სიტყვებს არ იშურებენ. მიქებენ დედობას და მადლობასაც მეუბნებიან ვაჟკაცი შვილის აღზრდისათვის. დავრწმუნდი, შვილო, რომ შენ ხარ ის გმირი, ღიახვისპირეთა შთამომავალი, რომლებმაც თავისი ნიჭით, სპეტაკი სულითა და მართალი სიტყვით ემსახურებოდნენ და იცავდნენ იმ უწმინდეს საგანძურს, რასაც სამშობლოს სიყვარული და მისთვის თავგანწირვა ჰქვია. მადლობა ყველას, ვის გულებსაც სამარადისოდ შემორჩება შენი ხსოვნა, ხსოვნა კაცისა კეთილისა, ღმილიანისა, უბოროტოსი, სამშობლოს სიყვარულით აღვსილისა და მშობლიური ხალხისადმი ერთგულებაში ჩაფერფლილი გმირ-ჭაბუკისა“.

მართლაც რომ სულის შემძვრელია შვილდაკარგული დედის ხვედრი, მაგრამ არც იმედია შორს. თენგოს დედას, ქალბატონ მარიამს, მართოდ არ სტოვებენ შვილის მეგობრები რეზო, კაკო, ვოვა, ვალერი, თემო, ბადრი და მრავალი სხვა, მათ შორის ზაზა ბუდიანაშვილი, რომელმაც თენგოს თიკუნად „სპილო“ შეურჩია. ასე ხსნიდა: „ძალიან ერთგული და დაფიქრებულია. და რაც უმთავრესია – ძალიან დინჯი. თუ განსაკუთრებულად არ შეაწუხებ, ნერვი არ აუთამაშდება. პირველი თვითონ არ გამოგიწვევს და ამავედროულად ძალიან ძლიერია ფიზიკურად და სულიერად“.

ჯარის მეგობარი ვანიკო იხსენებს, „ჩემი ძმა იყო“ და თან ლექსად აყოლებს:

*„ჩვენს ძმაკაცობას არ სჭირდება  
შექება დიდი,  
ჩვენ მას არავის არ ვაწონებთ  
და არცა ვყიდით“.*

ქალბატონ მარიამს კი დარდად აწევს გულზე ის, რომ ოთარაანთ ქვრივივით ვერ გადაეფარა თენგოს საფლავს სამუ-

დამოდ და მიმართავს შვილს „ნუ იდარდებ უღალატო ბიჭო, ალბათ სულ მალე მოვალ შენთან, გაგაღვიძებ დედის იაფნანით ღრმადმიძინებულს და გაგახარებ – თენგო! გაიღვიძე შვილო, შენი სამშობლო გაწმენდილია სარეველებისგან“.

ღიახ, სარეველებთან და ნაძირალებთან ბრძოლას შეეწირა თენგო (თემო) ელუაშვილის ახალგაზრდა სიცოცხლე. ეს მოხდა 2003 წლის 23 ივლისს გორის რაიონის სოფელ მუშლანთკარში. პოლიციელებმა ალყა შემოარტყეს და დანებება მოსთხოვეს მკვლელობასა და მრავალ ყაჩაღურ თავდასხმაში ეჭვმიტანილ თავხეხელადებულ და კბილებამდე შეიარაღებულ ყაჩაღს. ამ უკანასკნელმა მოულოდნელად და მუხანათურად გახსნა ცეცხლი, რასაც ორი სიცოცხლე შეეწირა (თენგო ელუაშვილი და კახა აბულაძე). ყაჩაღი ლიკვიდირებულ იქნა ადგილზე, მაგრამ, ვაი, რომ მოასწრო საზარელი ტრაგედიის დატრიალება. დადგება დრო, როცა ჩვენი ქვეყანა, როგორც ამას მოელის თენგოს დედა, ქალბატონი მარიამი, საბოლოოდ და სრულად განიწმინდება სარეველასგან.

თენგო (თემო) ელუაშვილის ხსოვნა კი სამუდამოდ დარჩება მადლიერი ადამიანების, ოჯახის წევრებისა და ნაცნობ-მეგობრების გულებში. თენგოს ხსოვნას ჩაქრობა არ უწევია.

დიდი სენეკა ამბობდა „სიცოცხლე, ისევე როგორც იგაფარაკი, მისი სიგრძით კი არ ფასდება, არამედ შინაარსით“.

თენგოს მშობლებმა კი დიდხანს უნდა იცოცხლონ, რათა არ ჩაქრეს ძვირფასი შვილის ხსოვნის სანთელი, რომელსაც სათუთად უნდა უპატრონონ და ქარისგან დაიცვან თენგოს ძმამ გივამ და ბიძის მოსახელე პატარა თემურიკამ.

## ზარნაძე ანზორი


ვინც იცნობდა ანზორ ზარნაძეს, ის არ დაინანებს მისი მისამართით ეპითეტებს: თავმდაბალი და მორიდებული, კულტურული და ზრდილობიანი, დაბალი ხმით მოსაუბრე, კეთილისმსურველი, განათლებული და შრომისმოყვარე. ეს გახლავთ ანზორის პიროვნებისათვის დამახასიათებელი ადამიანური შტრიხები.

სამწუხაროა, რომ გორის ქუჩებში და სამშენებლო პოლიგონებზე აღარ დააბიჯებს კარგი გორელი კაცი, რომელმაც



სულ რაღაც 41 წლის განმავლობაში კაცური კვალი დაამჩნია ქალაქის იერსახეს. დიახ, იგი მშენებელი ინჟინერი იყო და მისი აშენებული ბევრი შენობა-ნაგებობა თუ სხვა სამრეწველო თუ სამეურნეო ობიექტი დღესაც ამშვენებს ქ. გორს და გორის რაიონს.

ანზორ კონსტანტინეს ძე ზარნაძე დაიბადა 1933 წლის 28 აგვისტოს სამხედრო მოსამსახურის ოჯახში. ბავშვობიდანვე ოცნებობდა მშენებელი ინჟინერის პროფესიაზე და საშუალო სკოლის (ქ. გორის №1 და ქ. თბილისის №17) დამთავრების შემდეგ მიაშურა თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტს, მაგრამ ვერ მოაგროვა ქულების საკმარისი რაოდენობა, თუმცა სწავლას მოწყურებულმა დრო არ დაკარგა და გახდა გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტი, იმ იმედით, რომ მომავალში აისრულებდა ბავშვობის ოცნებას.



და მართლაც, მოგვიანებით დაამთავრა კიდევ ერთი სასწავლებელი და მიიღო მშენებელი ინჟინერის სპეციალობა (1966 წ.).

სტუდენტობის წლებში პარალელურად მუშაობდა სხვადასხვა სამშენებლო ობიექტებზე და ყოველდღიურად ამდიდრებდა თავის პრაქტიკულ გამოცდილებას.

სულ ახალგაზრდამ დამსახურებულად დაიკავა თავისი საპატიო ადგილი გორელ მშენებელთა ბრწყინვალე კოჰორტაში.

ანზორ ზარნაძეს მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვის ისეთი ობიექტების მშენებლობაში, როგორცაა: გორის საჭიდაო დარბაზი, სამხატვრო სკოლა, სპორტის სასახლე, საცხოვრებელი ბინები და სხვა.

ახლო ნათესავეები და ნაცნობ-მეგობრები ანზორ ზარნაძეს ახასიათებენ როგორც მეგობართა მოყვარულს, საუკეთესო

მეუღლეს და თავდადებულ მამას.

სამწუხაროდ, 1974 წლის 28 სექტემბერს შეწყდა შესანიშნავი გორელი კაცის გულისცემა. დაკრძალულია გორში, კვერნაქის სასაფლაოზე.

ანზორიმ დატოვა მშვენიერი ქართული ოჯახი: მეუღლე ქალბატონი ციცო ლუკაშვილი-ზარნაძისა (პედაგოგი), ქალიშვილები: მარინა (ფიზიკა-მათემატიკოსი) და თინათინი (ეკონომისტ-მენეჯერი).

## ზაუტაშვილი ზურაბი

ბავშვობის ასაკიდანვე მიიქცია ჭიდაობის სპეციალისტების ყურადღება ზურაბიმ, როგორც კუნთმაგარმა, სხარტმა და განსაკუთრებული სპორტული უნით დაჯილდოებულმა მოზარდმა. ამიტომაც დაინტერესდნენ მისი სპორტული მომავალით საქვეყნოდ ცნობილი სპეციალისტები (გ. პაპიტაშვილი, გ. ზაუტაშვილი) და აკი ჩაუყარეს კიდევ მტკიცე საძირკველი მის პირველ წარმატებებს.



წარმატებები საკმაოდ შთამბეჭდავი გახლდათ და ყველაფერი იმაზე მეტყველებდა, რომ სულ მალე ზურაბ ზაუტაშვილი ტრიუმფით დაიპყრობდა მსოფლიო საჭიდაო ასპარეზს, რომ არა ყველასთვის მოულოდნელი მძიმე ავადმყოფობა.

გაზეთ „სიყვარულის“ 1995 წლის ოქტომბრის ნომერში ვკითხულობთ ახლობლების მოსაგონარ სიტყვებს: „21 ოქტომბერს ორმოცი დღე გავა, რაც შენ ჩვენთან აღარ ხარ. საოცრად გვენატრები და გვაკლიხარ შენ საყვარელ მშობლებს, ძმებს, უდროოდ დამწუხრებულ მეუღლე რუსუდანს და ერთადერთ ქალიშვილს – ლიკას“.

განგებამ სულ ორიოდე წლით არ-



გუნა, შესანიშნავ ახალგაზრდას, საკუთარი ოჯახით ტკობის სიხარული, შვილით მონიჭებული უსაზღვრო ბედნიერება, არადა წინ ელოდა, ვინ იცის, რამდენი წარმატება როგორც ოჯახურ, ისე სპორტულ ასპარეზზე. თვალსაჩინო წარმატებები კი უკვე ჰქონდა ათლეტიკური გარეგნობისა და რაინდული სულის ახალგაზრდა ზურაბს.

ზურაბ ზაუტაშვილი გახლდათ საქართველოს სპორტ-საზოგადოება „შეგარდენის“ ნაკრები გუნდის წევრი და 15 წლის ასაკში, ქ. ტამბოვში (რუსეთი) მიმდინარე საერთაშორისო ტურნირზე ჭიდაობა ძიუდოში, ხდება ვერცხლის მედლის მფლობელი (62 კგ.). იმავე წელს ასევე საერთაშორისო ტურნირზე იკავებს პირველ ადგილს, ამჯერად 70 კგ. წონით კატეგორიაში.

1991 წელი. ქალაქი ერევანი. საკავშირო ტურნირი – მეორე ადგილი. 1991 წელი. ლატვია – პირველი ადგილი (72 კგ.). 1991 წელი, ცნობილი მოჭიდავის, დურმიშხან ბერუაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საქალაქთაშორისო ტურნირი – პირველი ადგილი და სხვა.

და ეს ყველაფერი მოასწრო 15-16 წლის ახალგაზრდამ ამონარიდი ახლობელის მოგონებიდან: „ულმობელია სიკვდილი ჩემო ზურაბ, ჰგონია რომ დაგამარცხა, მაგრამ სასტიკად სცდება. შენ ის ბიჭი არა ხარ, რომ ვინმემ იოლად დაგამარცხოს. არც იოლად დაგივიწყებს ვინმე. შენ ჩვენს გვერდით იყავი და იქნები კვლავაც. სამუდამოდ ემახსოვრები შენ მიწამაძულს, საყვარელ ბერშუეთს და სპორტულ დარბაზს, სადაც დიდი სპორტული სიმაღლეების დასაპყრობად იჭედებოდა შენი სხეული და სული. შენ ღირსეულად და ნამუსიანად დააბიჯებდი ამ ქვეყანაზე და კაცი ნამუსით ფასდება. ჩვენო საყვარელო და ლამაზო ბიჭო, იძინე მშვიდად. შენს წმინდა ხსოვნას არ უწერია ჩაქრობა, ისევე როგორც არ მოაკლდება ყურადღება შენს საფლავს, არ მოაკლდება ზრუნვა და პატრონობა შენს ძვირფას ლიკას, რომელიც უკვე 14 წლისაა“.

ზურაბ ზაუტაშვილმა წარჩინებით დაამთავრა სოფელ ზედლეეთის (გორის რაიონი) საშუალო სკოლის ცხრა კლასი და სწავლა განაგრძო ქ. გორის სტალინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში. სპეციალობად აირჩია ხილბოსტნეულის გადამამუშავების ტექნოლოგია.

მეგობრები იხსენებენ იმ გარემოებას, როდესაც დიპლომის

დაცვის დროს, ზურაბ ზაუტაშვილის ნაშრომს უმაღლესი შეფასება მისცა ცნობილმა ტექნოლოგმა, სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარემ, ავგანსვენებულმა გოდერძი თათეშვილმა.

ეს გახლდათ ერთ-ერთი პირველი მნიშვნელოვანი წარმატება ახალგაზრდა კაცის ცხოვრების ურთულეს, მაგრამ როგორც შემდგომში გაირკვა – საოცრად მოკლე გზაზე.

სწავლა-განათლებას მოწყურებულმა ზურაბ ზაუტაშვილმა მიაშურა საქართველოს აგრარულ-ტექნოლოგიურ და ეკონომიკურ აკადემიას, ჩაირიცხა და...

სამძიმარზე მისულმა აკადემიის რექტორმა, ზურაბს ახლობლებს გადასცა სტუდენტის ბილეთი.

ზურაბ ზაუტაშვილმა სულ 20 წელი იცოცხლა, იცოცხლა კაცურად, ნამუსით, სიმართლით და სიყვარულით.

ზურაბის სახელსა და საფლავს არასდროს დაივიწყებენ მისი მეგობრები (ხვინა საბაშვილი, გელა კავსაძე, გ. ვაზაგაშვილი, მალხაზ და ანატოლი ავაზნელები, უჩა ელბაქიძე და მრავალი სხვა), რომლებიც ხშირად მიდიან საფლავზე ცოცხალი ყვავილებით და პურზე ღვინის დასაწვეთებლად.

მცირე მოგონება ზურაბ ზაუტაშვილის შესახებ გვინდა დავამთავროთ ლექსით, რომელიც უცნობმა ავტორმა დაწერა გარდაცვალებიდან ერთი წლის თავზე:

*მე არ ვწყვეტ შენთან გაწყვეტილ კავშირს,  
შენ ტალღებს იჭერს ჩემი გონება,  
დავწერ სტრიქონს და იმ წამსვე წავშლი  
და ვფიქრობ, შენ თუ მოგეწონება.  
და თუმცა, ჩემი არ გესმის ენა,  
არ შემიძლია ხმაც მოგაწვდინო,  
შენ იცი რაზედ ვწუხვარ და ველავ,  
ჩემო სულის და ხორცის ნაწილო.  
საიდან გაჩნდა ის აბეზარი,  
ასე უდროოდ რატომ გეწვია,  
რა დაუშავე მეტოქესავით,  
შენს სიყვარულში რომ შემეცვია.  
სად წავიყვანა, ნუთუ მიწაზე  
უკვე ვერასდროს ველარ გიპოვნი,  
დავწერ სტრიქონს და წავშლი იმ წამსვე  
და ცრემლიანი მტკივა სტრიქონი.*

## თეთრუაშვილები

(გიორგი, ელენე, ნიკოლოზი, ალექსანდრე)

ამ გვარიდან, სამუდამო სასუფეველში დამკვიდრებული რამდენიმე პიროვნების ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მონაცემების მისაღებად თხოვნით მივმართე შიდა ქართლის საერო უნივერსიტეტის რექტორს, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორს, ბატონ ზაურ გიორგის ძე თეთრუაშვილს. გთავაზობთ საუბრის მოკლე ჩანაწერს.

„მადლობას მოვახსენებ წიგნის გამომცემელს, რომ მეძლევა საშუალება ერთხელ კიდევ გავიხსენო ჩემი უძვირფასესი ადამიანები.

ეს ადამიანები არიან ჩემი მშობლები და უფროსი ძმები: მამა – გიორგი ალექსის ძე თეთრუაშვილი (1896-1977), დედა – ელენე პავლეს ასული უშიკიშვილი (1905-1990), უფროსი ძმა – ნიკოლოზ (კოლია) თეთრუაშვილი (1927-2007), შუათანა ძმა ალექსანდრე (ალე) თეთრუაშვილი (1930-1997).

ისინი დუშეთის რაიონის სოფელ არანის მკვიდრნი გახლდნენ. ყველა მათგანი (კოლიას გარდა, რომელმაც ა. პუშკინის სახელობის თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტი დაამთავრა და პედაგოგად მუშაობდა) სასოფლო-სამეურნეო შრომას ეწეოდა და თავიანთი ცხოვრების წესით და მოწოდებით შთამომავლობას ლიბერალური ღირებულებების ერთგულებას ასწავლიდნენ და ჰუმანური პრინციპებით ზრდიდნენ.

მათ დიდი როლი შეასრულეს ჩემს გაზრდაში და ცხოვრების გზაზე დაყენებაში. მთელი ცხოვრების მანძილზე მათგან არ მომკლებია სიყვარული, სიბო, მზრუნველობა. ისე წავიდნენ ამქვეყნიდან, რომ სამუდამო ტკივილი დამიტოვეს და მათი ამაგის ბოლომდე გადახდის საშუალება არ მომცეს.

ჩემი მშობლები მართლმადიდებელი ქრისტიანები იყვნენ.



გიორგი და ელენე

სოფელ არანისს ჩრდილო დასავლეთით დიდი მუხნარის ტყე აკრავს და სახლში რომ მიხვიდე, ეს ადგილი უნდა გამოიარო. ეს ჩვენი სოფლის სალოცავი ადგილია. ამადლების დღესასწაულს აღვნიშნავთ ხოლმე და ხატის ტყეს ვეძახით. მამაჩემი ამ ტყის გამოვლას რომ დაამთავრებდა, გააჩერებდა ურემს, დაათვალიერებდა – მუხის ფოთლები, ან წვრილი ფიჩხი ხომ არ აეკიდა ურემსო, გაასუფთავებდა და მერე განაგრძობდა გზას.


დედაჩემი, ძილის წინ აუცილებლად ლოცულობდა და ისე იძინებდა. თუ, როგორღაც, ლოცვას გამოტოვებდა და ისე დაიძინებდა, ღამე, როდესაც არ უნდა გაღვიძებოდა, წამოდგებოდა, პირჯვარს გადაიწერდა და ისევ გააგრძელებდა ძილს.

ჩემს მშობლებს ექვსი შვილი ეყოლათ. აქედან სამი ადრევე გარდაეცვალათ. სამნი გავიზარდეთ (კოლია, ალე და მე – ზაური). დედაჩემი ლოცვის დროს ხშირად იტყოდა ხოლმე: ღმერთო! შენი ვალი ადარა მაქვს, სამი შვილის სული ცაში გამოგიგზავნე და სამი მე დამიტოვე, ესენი მიმყოფე კარგადო.

დედაჩემი – ელენე პავლეს ასული უშიკიშვილი თიანეთის რაიონის სოფელ ხოფცაში იყო დაბადებული (ზარიძეების სასოფლო საბჭოში). მამაჩემის დედა თიანეთის რაიონის სოფელ ზარიძეებიდან ჩიტაურების ქალიშვილი იყო. სოფლები ზარიძეები და ხოფცა ერთიმეორესთან ახლოს მდებარეობს, მათ მხოლოდ ერთი პატარა ხევი ჰყოფს. ამას ისიც ემატებოდა, რომ დედაჩემის მამიდა ჩვენს სოფელში – არანისში იყო გათხოვილი. მამაჩემს დედაჩემი იქ გაუცვნიდა, მოსწონებია და მოუტაცნია. დედაჩემი, ისევე როგორც მამაჩემი, პატარა ტანის ქალი იყო, მაგრამ მის მოტაცებაში 10 არანისელი ცხენზე



ნიკოლოზი



ალექსანდრე

ამხედრებული და ხმალ-ხანჯლით შეიარაღებული ყოფილან. დედაჩემი რომ გასძალიანებია ამ ხალხს, ერთ-ერთი მათგანისგან კარგი მათრახიც მოხვედრია. საპასუხოდ ასე იცოდნენ ძველად. ჩემს ბავშვობაში ხშირად გამიგონია ამ მოტაცების მონაწილე კაცებისგან დედაჩემის მოტაცების ამბავი.

მამაჩემს ორი ძმა და ორი და ჰყავდა: დები – დარო და ნინო; ძმები – ილიკო და ტატო. ეს უკანასკნელი 1937 წელს ციმბირში გადაასახლეს, როგორც ტროცკისტი და შემდეგ მისი რეაბილიტაცია მოახდინეს. ის არავითარი ტროცკისტი არ იყო. თავის მეგობართან ზურაბ (ზუკა) ზანდუკელთან ერთად ერთხელ სოფელ ქინვალში შემთხვევით რომელიღაც კრებას დაესწრნენ და ორივე დააპატიმრეს.

დედაჩემიც მრავალშვილიანი ოჯახიდან იყო, მას ოთხი ძმა და ერთი და ჰყავდა (ძმები: პავლე, ტონე, ლექსო, გიგოლა, და – ნინო).

ერთი განსაკუთრებული ნიშანი, რაც მამაჩემისა და დედაჩემის სანათესაოს ახასიათებს ის არის, რომ აუცილებლად „ძმაო“ ან „გენაცვალე“ სიტყვით მოგმართავენ და ამას განსაკუთრებული სითბოთი გამოხატავენ ხოლმე. დედაჩემმა კი ასე იცოდა ყოველთვის „დამარხე დეიდაო“. მამაჩემისა და დედაჩემის ძმების და დების შთამომავლები (ალექსას ბუდიდან და პავლეს ბუდიდან) ჩემი და ჩემი შთამომავლების ღვიძლი ძმები და დები არიან და ძალიან გვიყვარს ერთიმეორე. ეგ არის, რომ ერთად არა ვცხოვრობთ, თორემ, სხვა ყველანაირად, ერთ ოჯახად ვითვლებით.

მე და ჩემი ძმები ბავშვობაში ხშირად ვიყავით ხოლმე დედაჩემის სოფელში, განსაკუთრებით სასწავლო არდადეგებზე. დღემდე არ დამიწყებია იქაური დიდი მოცულობის ფშაური ხინკალი, რომელსაც აკეთებდნენ ცულით დაკეპილი ხორცისგან. ხინკლის გაკეთებაში მთელი ოჯახი იყო ხოლმე ჩაბმული. შრომა დანაწილებული იყო: შრომატევად საქმეს მამაკაცები ასრულებდნენ.

ზაფხულობით დედაჩემის ძმებს მინდორში პირუტყვის სამწყემსოდ რომ წაყვებოდი ხოლმე, მასსოვს ერთი პატარა გოგონას ხმა, რომელიც მთელ მინდვრებს ეფინებოდა. იგი თელავს უმდეროდა თავისი წკრიალა ხმით. როდესაც დაფიქრდები და იმ დღეებს ვიხსენებ, დღესაც საამოდ ჩამესმის ყურში ის დაუვიწყარი ჰანგები.

ჩემი უფროსი ძმა – კოლია გეოგრაფიის მასწავლებელი იყო, მაგრამ ისიც აქტიურად იყო ჩაბმული სასოფლო-სამეურნეო შრომაში. მასწავლებლობდა დუშეთისავე რაიონში, სოფლებში: სონდისველაში (ფშავი), ჩოხში (მთიულეთი), დავათში. მას და მის მეუღლეს ნადია ჭინჭარაშვილს (1928-1998) სამი შვილი შეეძინათ, სამივე გოგო: ლიანა, ნუნუ, ელიკო (რასაც კოლია ძალიან განიცდიდა). სამივემ გორის პედაგოგიური ინსტიტუტი დაამთავრა.

ლიანას ხუთი შვილი (ხუთივე უმადლესი განათლებით) და ხუთი შვილიშვილი ჰყავს, ნუნუს ორი შვილი (ორივე სტუდენტი), ელიკოს – ორი (ორივე სტუდენტი).

კოლია ბედნიერი კაცი იყო. ბედნიერი წავიდოდა ამქვეყნიდან, რომ არა ჯერ მეუღლის და შემდეგ შვილის – ნუნუს ნაადრევად გარდაცვალება. ნუნუ სრულიად ახალგაზრდა იყო, რომ გარდაიცვალა (1956-2004). ნუნუს გარდაცვალებამ ღოგინად ჩააგდო კოლია და შვილის ხსენებაში დაღია სული.

შუათანა ძმა ალექსანდრე (ალე) მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო შრომაში იყო ჩაბმული. ახალგაზრდობაში თბილისში სწავლობდა ტექნიკუმში. არ მოისურვა სპეციალობის მიღება, სწავლას თავი დაანება და საგაღებულო სამხედრო სამსახურში განეწესა. მეუღლესთან, სოფიო შალაშვილთან ერთი შვილი შეეძინა, გოგო – იზო. იზომაც გორის პედაგოგიური ინსტიტუტი დაამთავრა. იზოს ორი ვაჟი – ზეზვა და არჩილი ჰყავს. ჯერ არ დაქორწინებულან. აგვიანებენ ალეს შთამომავლობის გაგრძელებას.

ალეს იერსახე ეპიზოდურად შემოგვინახა ქართულმა კინემატოგრაფმა. ჯერ ბავშვობაში, „გიორგი სააკაძეს“ რომ იღებდნენ ჩვენს სოფელში, მასიურ სცენებში მოსჩანს; მეორედ, „საბუდარელ ჭაბუკში“ მექოთნე რომ საბოლოოდ აიყარა სოფელ საბუდარადან, ბარგი მისი ურმით მიაქვთ და ურემს თვითონ მიუძღვის.

ალე დიდი შრომისმოყვარე და დაუზარელი პიროვნება იყო.

გულისტკივილით ვიხსენებ ჩემს მშრომელ მშობლებს და ძმებს. ჩემთვის ძალიან ძნელია მათ გარეშე ყოფნა... ღმერთს შევთხოვ, სასუფეველში ამყოფოს მათი წმინდა სულები, ილოცონ თავიანთი შთამომავლობის გამრავლებისა და გაძლიერებისათვის“.

## მაჭარაშვილი თამარი



გორის მოწინავე და დამსახურებულ ადამიანთა კოჰორტაში თავისი ღირსეული ადგილი უკავია თამარ მაჭარაშვილის პიროვნებას. იგი ყოველთვის იყო აქტიური შრომის ავანგარდში არა მხოლოდ პირადი გარჯით, არამედ როგორც მშრომელი-ლიდერი, ორგანიზატორი და იმავდროულად გულისხმიერი და მზრუნველი ხელმძღვანელი. ქალბატონი თამარის შრომით მიღწევებზე და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მაღალ ხარისხზე მიახლოებებს მის მიერ მიღებული მრავალი ჯილდო, დიპლომი, პრემია და წოდება: უმაღლესი საბჭოს დეპუტატი (ორი მოწვევის), უზენაესი სასამართლოს მსაჯული, ადგილობრივი საბჭოს დეპუტატი (რამდენჯერმე); ბიუროს წევრი, ყრილობების დელეგატი, „მრეწველობის დამსახურებული მუშაკი“, „ახალგაზრდობის საუკეთესო დამრიგებელი“, კვების მრეწველობის საპატიო სიგელი, „ოქტომბრის რევოლუციის“ ორდენი, „შრომის წითელი დროშის“ ორდენი, „სოც შეჯიბრში გამარჯვებულისა“ და „მეცხრე ხუთწლედის დამკვრელის“ მედლები, მედალი „თავდადებული შრომისათვის“ და სხვა. თამარ მაჭარაშვილის სახელი შეტანილია „შრომითი დიდების“ წიგნში.

ბრწყინვალე ჟურნალისტი ლ. ჭანკოტაძე 1971 წელს გაზეთ „გამარჯვებაში“ (№133) წერდა: „მან ასახელა ქალაქი, ქალაქი კი არა, მთელი რესპუბლიკა. ასახელა შრომით, საკუთარი მარჯვენით... ქართლის გულის ქართია და მზითაა დაფერილი, აღმატი, მალი, გულითადი, მხიარული. საუბარში პირდაპირი

და აღერსიანი, საქმეში – გამჭრიახი და მიუკერძოებელი... საქმის სული და გული“.

თამარ მაჭარაშვილი დაიბადა 1926 წელს. როული და ძნელი ბავშვობა ჰქონდა. ადრე დაობლდა. დეიდამ ბოლომდე ვერ შეძლო მასზე მზრუნველობა და პატარა გოგონა მოხვდა გურჯაანის რაიონის სოფელ არაშენდას ბავშვთა სახლში. შემდეგ იყო ომის მძიმე და მრისხანე წლები. პატარა გოგონას სუსტ მხრებს დააწვა ყოველდღიური ცხოვრებისა და არსებობისათვის ბრძოლის ძნელადსატარებელი ტვირთი. შეუდრეკელმა ხასიათმა და გამარჯვებისკენ დაუოკებელმა სწრაფვამ ახალგაზრდა გოგონა მიიყვანა ჯერ თბილისის ტოპოგრაფიულ ტექნიკუმში, ხოლო შემდეგ გორის საკონსერვო ქარხანაში.

სწორედ ამ ქარხანაში დაირწა ქალბატონი თამარის შრომითი აკვანი. ქარხნის გამოცდილი მუშაკები მზრუნველობას არ აკლებდნენ შრომასმოწყურებულ ობოლ გოგონას და მანაც სრულად დააფასა მასზე გაწეული ამაგი დაუღალავი შრომით. საზოგადოებრივ საქმიანობაშიც დაუზარელი და წარმატებული იყო ქალბატონი თამარი. იყო დრამატული წრის აქტივისტი, თვითშემოქმედებითი კოლექტივის წამყვანი სოლისტი. იალბუზიც აქვს დალაშქრული ოლიმპიადის პროგრამით.

თამარ მაჭარაშვილი მალე ჩადგა მოწინავე მუშაკების რიგში, უფრო მეტიც, იგი გახდა ბრიგადირი და არაერთ შრომით წარმატებასაც მიაღწია. ახლა უკვე თავად იყო სხვისი აღმზრდელი და დამრიგებელი. გადიოდა წლები და ქალბატონი თამარი სულ უფრო მაღლა მიიწევდა დამსახურებათა და აღიარებათა ცხოვრებისეულ კიბეზე. ემატებოდა მის მკერდს ორდენები და მედლები.

გორის საკონსერვო ქარხნის პროდუქცია მრავალ ქვეყანაში სარგებლობდა პოპულარობით და მოწონებით, რაშიც დიდი დამსახურება მიუძღოდა, როგორც პირადად ქალბატონ თამარს, ისე მის ბრიგადას.

გორში ამბობდნენ ხოლმე – თამარი იქ არის, სადაც ვინმეს რაიმე უჭირსო. უკვირდათ, როგორ ასწრებსო ყველაფერს, ყრილობებს, სესიებს, სხდომებს მიჰქონდა დიდი დრო, მაგრამ ქალბატონი თამარი მართლაც ასწრებდა ყველაფერს. მიზანსწრაფულობა, უღვევი ენერჯია, პრინციპულობა, ობიექტურობა და უზარმაზარი შრომითი გამოცდილება. თუ ყოველივე

ამას დაუმატებთ სიკეთის კეთების დაუცხრომელ სურვილსაც, მივიღებთ იმ ძვირფასი შტრიხების ერთობლიობას, რაც გამოკვეთილად ახასიათებდა ქალბატონ თამარს.

ქალბატონმა თამარიმ ლამაზი და სასახელო ოჯახი შექმნა ალექსანდრე დათუნაშვილთან ერთად. ოჯახში გაიზარდა ორი ულამაზესი ქალიშვილი: მანანა (დაამთავრა ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი; ყოფილი ანსამბლის „დილას“ სოლისტი, ქ. კაუნასის კონკურსის „ქარვის საყვირის“ პირველი ადგილისა და ლაურეატის წოდების მფლობელი, დაჯილდოებულია საქართველოს კულტურის სამინისტროს, ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლისა და გორის კულტურის განყოფილების საპატიო სიგელებით და დიპლომებით) და ირმა (დაამთავრა ეკონომიკური ინსტიტუტი და სამუსიკო სასწავლებელი).

1989 წელს ქალბატონ თამარს გარდაეცვალა მეუღლე. დანაკარგით გამოწვეულ მწუხარებას უმსუბუქებდნენ შვილები, სიძეები (ნოდარ ბერიანიძე, გია ლაბაძე), შვილიშვილები (ლელა, სერგო, თამუნა, ელიკო).

ვაჟკაცურად გადაიტანა მეუღლის დაკარგვა ქალბატონმა თამარიმ. ჩვეული ენერგიით ეწეოდა ცხოვრების ტვირთს. ძლიერი ქალი გახლდათ თამარ მაჭარაშვილი. მაგრამ, როგორც ჩანს, მაინც დაიღალა; ბავშვობის მძიმე წლებმა, შემდეგ უწყვეტმა მუხლმოუხრებლმა შრომამ, მომრავლებულ ოჯახზე ყოველდღიურად ზრუნვამ და მეუღლის დაკარგვით გამოწვეულმა სიმწუხარემ თავისი დადი დაასვა მამაცი და ენერგიული ქალბატონის სიცოცხლეს. 1993 წელს ავადმყოფობის გამო მიატოვა სამუშაო, მაგრამ მოუთმენლად ელოდა იმ დღეს, როცა დაბრუნდებოდა თავის საამქროში, მაგრამ დაბრუნება აღარ ეწერა.

თამარ მაჭარაშვილი გარდაიცვალა 1994 წლის 23 დეკემბერს. დაკრძალულია გორში, კვერნაქის სასაფლაოზე.

თამარ მაჭარაშვილის ცხოვრება ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა იცოცხლოს ადამიანმა, როგორ უნდა გაიაროს ურთულესი გზა ბავშვთა სახლიდან ყრილობათა სასახლემდე.

არასოდეს დაივიწყებენ დიდ ბებოს და არც ყვავილებს მოაკლებენ მის საფლავს: თამარ გიუნაშვილი, მანანა და ლექსო ბერიანიძეები, ლაშა ლაბაძე, ნიკა და ანა აბოვიანები.

ნათელში ყოფილიყოს მისი სული.

## მეცხპარიშვილი შამილი


„კაცური კაცი, ნამდვილი ადამიანი, წყნარი, კეთილშობილი, მართალი, სათნოებითა და სიკეთით სავსე“ – ამ სიტყვებით ემშვიდობებოდნენ, ამ სიტყვებით დაიტირეს და გააცვიფეს უკანასკნელ გზაზე ნაცნობ-მეგობრებმა, 2006 წლის 2 აგვისტოს შამილ მეცხპარიშვილი.

შამილი დაიბადა შიდა ქართლის ულამაზეს სოფელ მერთში, მწიგნობარი გლეხის ოჯახში, 1932 წლის 6 ივლისს. ოჯახში იზრდებოდა სამი ვაჟი გამორჩეულნი გონიერებითა და ზრდილობით.

ბატონმა შამილმა დაამთავრა მერთის საშუალო სკოლა და იმავე წელს მისაღები გამოცდები ჩააბარა თბილისში, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, სადაც იგი აქტიურად ჩაება ინსტიტუტის ცხოვრებაში.

1956 წელს დაამთავრა აღნიშნული ინსტიტუტი ინჟინერ-მექანიკოსის სპეციალობით. ამ წლიდან იღებს სათავეებს ბატონი შამილის შრომითი ბიოგრაფია, მან როგორც განათლებულმა ინჟინერმა ადვილად გაიკაფა სავალი გზა.

მუშაობდა გორის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციის სკოლაში, წლების განმავლობაში იყო გორის საკონსერვო ქარხნის მთავარი მექანიკოსი, სადაც თავისი წვლილი შეიტანა მრავალ ახალ გამოგონებათა დანერგვაში. იყო გორის სასათბურე მეურნეობის მთავარი ინჟინერ-მექანიკოსი, წყალმტკვარმშენის მთავარი ინჟინერი, საავტომობილო გზების სამინისტროს გორის №9 ავ-



ტოსაწარმოს მთავარი ინჟინერი. გორის წისქვილკომბინატის დირექტორი. ბატონი შამილი ყველგან იმსახურებდა თანამშრომელთა და გორის საზოგადოების დიდ სიყვარულს.

ნაყოფიერი სამეურნეო და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის ვლადიმეროვიჩს (ასე მოიხსენიებდნენ მას მეგობრები) მიღებული აქვს სამთავრობო ჯილდოები და სიგელები.

ქალაქ გორშივე შექმნა მან ლამაზი ქართული ოჯახი, თავისი დიდი ცხოვრების გზა დაუკავშირა პედაგოგის ოჯახში აღზრდილ, თავადაც პედაგოგ დარეჯან ჭიპაშვილს. ერთობლივი გულისხმიერებით ოჯახმა აღზარდა 3 შვილი: დავითი (ინჟინერ-ენერგეტიკოსი, ჰყავს მეუღლე ნინო ალავერდაშვილი და სამი შვილი – სოფიკო, ანა და ლუკა), ქეთევანი (გორის მეოთხე სკოლის პედაგოგი, ფიზიკოსი. ჰყავს მეუღლე მალხაზ გოჩაშვილი და სამი ვაჟიშვილი – ლევანი, გიორგი (გაგა), თორნიკე) და ელისო (ეკონომისტი. ჰყავს მეუღლე ზაზა სადაღაშვილი და ორი შვილი – ელენე და ნიკოლოზი).

შამილის მეუღლე ქალბატონი დარეჯან ჭიპაშვილი (ამჟამად პენსიონერი) სხვადასხვა დროს მუშაობდა პედაგოგად (ისტორიკოსი), საქალაქო რადიო რედაქციაში და სხვა.

ბატონი შამილი ამყობდა თავისი შვილებით, რვა შვილიშვილით და ერთი შვილთაშვილით. თქვენი მონამორჩილი კარგად იცნობდა შამილ მეცხვარიშვილს სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ერთობლივი მუშაობის პერიოდიდან. შამილი იყო (როგორც თითქმის ყველა ტანად და ფიზიკურად ძლიერ მამაკაცს ახასიათებს) გულთბილი, ღმობიერი და სიკეთით აღსავსე ადამიანი. საუბრობდა დაბალი ხმით, გამოირჩეოდა ლოგიკური მეტყველებით და დახვეწილი ქცევის წესებით. სახეზე ერთთავად დასთამაშებდა ოდნავშესამჩნევი ღიმილი. აღმერთებდა წესიერებას, პატიოსნებას და ერთგულებას. ამიტომ იყო, რომ მისმა ამქვეყნიდან წასვლამ დაამწუხრა გორის საზოგადოება.

მას შემდეგ, რაც საპენსიო ასაკმა უწია და ქვეყანაში შექმნილმა არასახარბიელო ატმოსფერომაც აღარ მისცა მას საშუალება თავისი პროფესიონალური საქმიანობით დატვირთვისა – უმეტეს დროს ატარებდა გორში, სამეფო ქუჩაზე, მეუღროს სახლში, ოჯახში ფუსფუსებდა და ხშირად მეზობლებთან და უბნელებთან ერთად კლავდა დროს პატარა სკვერში, სახლთან ახლოს.

შამილმა იცოდა დამაჯერებელი საუბარი და ამიტომ იყო რომ მის სიტყვას უსმენდნენ და მისი სჯეროდათ. სიცოცხლის ბოლო წლებში იგი ჩამოყალიბდა სამეზობლოს ლიდერად. მისი აზრის გაუთვალისწინებლად არ წყდებოდა ესათვის საკითხი.


შამილის გარდაცვალების შემდეგ, მის სამეზობლომაც დიდი დანაკარგი განიცადა. უჭირთ შამილის გარეშე ძველებურად შეკრება და ცხოვრების ამათუიმ საჭირობოროტო საკითხებზე სჯა-ბაასი.

იგონებს ბატონი შამილის მეუღლე, ქალბატონი დარეჯან ჭიპაშვილი: „იყო კარგი მეუღლე, შესანიშნავი მამა, საყვარელი ბაბუა და დაუვიწყარი მეგობარი. სიყვარულით შექმნილ ოჯახში ორმოცდაათი წელი იცხოვრო შენი ოცნების ადამიანთან – ეს ცოტა არაა. განვლილი ცხოვრების გზის გადასახედიდან მოსაგონარი უამრავია. ამ მოგონებებს სათუთი მოფერება და მოფრთხილება სჭირდება“.

შამილ ვლადიმერის ძე მეცხვარიშვილი დაკრძალულია ქალაქ გორის კვერნაქის სასაფლაოზე.

## ონიაშვილი ალექსანდრე (საშა), ონიაშვილი მერაბი, თინათინ ბობეჯიშვილი-ონიაშვილი

ალექსანდრე (საშა) ონი-  
აშვილი მიეკუთვნებოდა  
გორელების იმ ისტორიულ  
თაობას, რომელიც გორის  
ბამბეულის ქსოვილების  
გიგანტი კომბინატის ამო-  
ქმედებისა და პირველი  
საერთაშორისო აღიარების  
სათავეებთან იდგა, იდგა  
და თავისი პროფესიონ-  
ალიზმით, ერთგულებით  
და დაუღალავი შრომით  
ჭედდა მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის საქართველოს  
უკეთეს მომავალს.



ალექსანდრე და თინათინი

ალექსანდრე ონიაშვილი იყო ერთ-ერთი იმათაგანი, ვინც სასიკეთო კვალი დაამჩნია კომბინატის სამომავლო წარმატებებს.

ბატონი ალექსანდრე დაიბადა 1930 წლის 28 თებერვალს გორის რაიონის სოფელ ყელქცეულში. მამა, ნიკოლოზ ზურაბის ძე ონიაშვილი იყო სოფლის მეურნეობის წარმატებული მშრომელი. დედა, მარუსია – დიასახლისი. ალექსანდრეს გარდა ოჯახში იზრდებოდა კიდევ სამი შვილი: გურამი, ნატო და ციცო.

ალექსანდრე (საშა) ონიაშვილმა საწყისი განათლება მიიღო სოფელ შინდისის არასრულ საშუალო სკოლაში, რის შემდეგაც მამიდამ, ქალბატონმა სონიამ წაიყვანა თბილისში, სადაც საშამ მიიღო როგორც საშუალო, ისე უმაღლესი განათლება და დიპლომირებული ინჟინრის კვალიფიკაციით დაბრუნდა გორში, ბამბეულის ქსოვილების კომბინატში.

სულ მალე, სხვა ახალგაზრდა სპეციალისტებთან ერთად, კვალიფიკაციის ასამაღლებლად, გააგზავნეს შუა აზიაში, კერძოდ ტაშკენტში. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ალექსანდრეს (საშას) ბავშვობიდანვე იტაცებდა ჭიდაობა და ფიზიკურად ძლიერმა ახალგაზრდამ გადაწყვიტა შესდგომოდა სისტემატურ ვარჯიშს. გარჯამ და დაუოკებელმა ლტოლვამ თავისი შედეგი გამოიღო – იგი გახდა ჯერ ტაშკენტის (1954 წ.), ხოლო შემდეგ შუა აზიის რესპუბლიკების სპარტაკიადის ჩემპიონი.

გორში დაბრუნების შემდეგ, დაიწყო საშა ონიაშვილის საინტერესო და ნაყოფიერი შრომითი მოღვაწეობა. საწყის ეტაპზე მუშაობდა ზემოაღნიშნული კომბინატის საგრავიურო საამქროში, შემდეგ კი, წლების განმავლობაში, იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საამქროს ხელმძღვანელი.

ბატონი საშა პარალელურად ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას. სხვადასხვა დროს იყო ფაბრიკის პროფკავშირის ადგილკომის თავმჯდომარე და პარტორგანიზაციის მდივანი. არც პირად სპორტულ წარმატებებზე ზრუნვას ივიწყებდა. იყო ქ. გორის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში, ხოლო შემდეგ მოიპოვა საქართველოს ჩემპიონის ტიტულიც. სამწუხაროდ, ავადმყოფობის გამო ვერ შესძლო გაეგრძელებინა აქტიური სპორტული მოღვაწეობა, თუმცა ჭიდაობა არ მიუტოვებია და თავის მდიდარ გამოცდილებას უზიარებდა გორელ და ყელქცეულელ ახალგაზრდებს, რომლებმაც, თავის მხრივ, ბევრჯერ გაახარეს თავისი წარმატებებით საყვარელი აღმზრდელი და მასწავლებელი.

პენსიაში გასვლის შემდეგ, სოფელ ყელქცეულში გადავიდა საცხოვრებლად. იმუშავა სოფელ ხვითის მეთესლეობის მეურნეობაში ადგილკომის თავმჯდომარედ, პარტორგანიზაციის მდივანად, კადრების განყოფილების ინსტრუქტორად და სხვა.


მშრომელი და პატიოსანი კაცის სახელი სამუდამოდ დაიმკვიდრა ბატონმა ალექსანდრე (საშა) ონიაშვილმა.

საქები ოჯახი შექმნა ბატონმა ალექსანდრემ (1958 წ.). მასთან ერთად ცხოვრების უღელს ერთგულად ზიდავდა მისი მეუღლე ქალბატონი თინათინ გობეჯიშვილი.

ქალბატონი თინათინი დაიბადა 1927 წელს ზნაურის რაიონის სოფელ ავნეში, იასონ გობეჯიშვილისა და ტერეზა ჭავჭავაძის ოჯახში (ქალბატონ ტერეზას ჰყოლია რვა შვილი – პირველი მეუღლისგან სოგრატ და საშა გეგელაშვილები, ხოლო მეორე მეუღლისგან თინათინი, აგრაფინა, ბაბუღია, ნიკოლოზი, მარიამი და ნინო გობეჯიშვილები).

თინათინ გობეჯიშვილმა დაამთავრა სოფელ ავნევის საშუალო სკოლა, შემდეგ კი ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტი ბიოლოგიის სპეციალობით. მუშაობდა პედაგოგად ავნევის საშუალო სკოლაში. თავისუფალ დროს უთმობდა ქსოვისა და ქარგვის ხელოვნებას. გახლდათ უმაღლესი დონის მკერავი. გამოირჩეოდა დიდი ადამიანური სითბოთი და სტუმართმოყვარეობით. სარგებლობდა დამსახურებული ავტორიტეტით, როგორც პედაგოგექტივში, ისე სოფელში და ახლობელ-ნათესავებში.

ბატონ ალექსანდრესა და ქალბატონ თინათინის ოჯახში იზრდებოდა ორი ვაჟი – ზურაბი და მერაბი.



მამა და შვილი

მერაბ ონიაშვილმა 1979 წელს დაამთავრა ქ. გორის მესამე საშუალო სკოლა წარჩინების ატესტატით. უმაღლესი განათლების მისაღებად მიაშურა

თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტს და მიიღო გზების მშენებლობის ინჟინერის დიპლომი. მერაბი გამოირჩეოდა კარგი სწავლით. ამავდროულად ინტენსიურად ვარჯიშობდა თავისუფალ ჭიდაობაში და ცდილობდა ღირსეულად გაეგრძელებინა მამის სპორტული ტრადიცია. მერაბი საუკეთესოდ თამაშობდა ჭადრაკსაც, იყო ინსტიტუტის სტუდენტთა თამაშების მრავალგზის ჩემპიონი როგორც ჭადრაკში, ისე თავისუფალ ჭიდაობაში.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ქ. გორში მექანიზირებული კოლონიის მთავარ მექანიკოსად, სოფ. ყელქცეულში მეურნეობის დირექტორის მოადგილედ და სხვა. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მერაბი ონიაშივილი, როგორც ტექნიკური საქმიანობის სპეციალისტი, დაჯილდოებული იყო გამომგონებლობის ნიჭით, რაც გამოიხატა მის საავტორო მოწმობებშიც.

მერაბი ონიაშივილი თავისი ცხოვრების მომავალი დაუკავშირა ბრწყინვალე ქალიშვილს, მარინე იროდიონის ასულ ტაბატაძეს. 1989 წელს ჩაეყარა საფუძველი მშვენიერ ქართულ ოჯახს. სულ მალე ახალგაზრდა მეუღლეებს ეწვია ბედნიერება და დიდი სიხარული – შეეძინათ ვაჟი სანდრო (ალექსანდრე) და ქალიშვილი თინათინი, პაპისა და ბებუის მოსახელენი.

სამწუხაროდ, დიდხანს არ გაგრძელებულა ბატონი მერაბის ბედნიერება. ცხოვრების უკუღმართმა და ავბედითმა შემთხვევითობამ შეიწირა სიცოცხლეზე და ოჯახზე უზომოდ შეყვარებული ვაჟკაცის სიცოცხლე (1992 წ. 16 ივლისი). ფრთა მოსტყდა ქალბატონ მარინეს, დაობლდნენ პატარები, გლოვამ მოიცვა ონიაშივილებისა და ტაბატაძეების ნათესაობა და ახლობლობა, ქალაქს მოაკლდა დიდი მომავლის მქონე ახალგაზრდა. ცხოვრება კი გრძელდება. იზრდებიან და უკეთესი მომავლისკენ ისწრაფვიან მერაბის საამაყო შვილები სანდრო და თინათინი ონიაშივილები. უმამობა არ აგრძნობინა ქალბატონმა მარინე ტაბატაძემ ობლადდარჩენილ შვილებს. იმ ავადსახსენებელი ზაფხულის შემდეგ, იგი მამაც იყო და დედაც. მან თავისი ცხოვრების უმთავრეს მიზნად დაისახა საამაყო და სასახელო შვილების აღზრდა და ცხოვრების სასიკეთო გზაზე გაყვანა.

დღეს, შეიძლება ითქვას, რომ ქალბატონმა მარინემ შესძ

ლო დასახული მიზნის მიღწევა. გორის საზოგადოება (და არამარტო გორის) კარგად იცნობს ბატონი მერაბისა და ქალბატონი მარინეს შესანიშნავ შვილებს, სანდროსა და თინათინს.

სანდრო ამჟამად სწავლობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. გამოირჩევა ნიჭიერებით, გამომგონებლობის უნარით და ხელოვნების სიყვარულითა და ცოდნით.

თინათინი ჯერჯერობით მე-11 კლასში სწავლობს (ქ. გორის მე-7 საჯარო სკოლა), მაგრამ უკვე მოასწრო პოპულარობის მოპოვება. და-ძმა ონიაშივილები არიან მრავალი ოლიმპიადისა თუ კონკურსის გამარჯვებულები, მიღებული აქვთ არაერთი პრიზი, დიპლომი თუ სიგელი და ნორჩ მეცნიერთა და გამომგონებელთა რესპუბლიკური და საერთაშორისო ოლიმპიადების გამარჯვებულთა დიპლომები (ოთხგზის) და თურქული ორგანიზაცია „ჩაღლარის“ მიერ დაწესებული სტიპენდია.


დასანანია, რომ ბატონი მერაბი, ისევე როგორც მისი მშობლები (ალექსანდრე და თინათინი), ვეღარ გაიხარებენ და ვეღარ იამაყებენ მათი მონაგარის წარმატებებით.

ალექსანდრე (საშა) ონიაშივილი გარდაიცვალა 1992 წლის 30 აგვისტოს, ხოლო თინათინი გობეჯიშვილი-ონიაშივილი – 1998 წელს. დაკრძალულნი არიან სოფელ ყელქცეულის სასაფლაოზე.

## რატისვილი ვასიკო

სასწაულებს ყვებიან ვასიკო რატისვილის შესახებ ოჯახის წევრები და ახლობელ-ნათესავეები.

ბატონ ვასიკოს სიცოცხლეში ძალიან ჰყვარებია თუთა, ამის შესახებ იცოდა თითქმის ყველა მისმა ნაცნობმა თუ მეგობარმა. და აი, გარდაცვალებიდან ორმოცი დღის შემდეგ, ოჯახის წევრებმა შეამჩნიეს, რომ ვასიკოს საფლავის ერთ კუთხეში გაზრდა დაიწყო რაღაც ხემ. გადიოდა დრო და ის ხე მიიწვედა სულ ზევით და ზევით. მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ ეს იყო თუთის ხე, მისთვის დამახასიათებელი ნაყოფით. ერთადერთი ყოფილა ეს თუთის ხე გორის კვერნაქის სასაფლაოზე. ყურადღება და მოვლა-პატრონობა არ აკლია ბატონი ვასიკოს სამუდამო განსასვენებელს და მისთვის სიცოცხ-



ლემში ყველაზე საყვარელ თუთის ხეს.

ვასიკო რატიშვილი დაიბადა 1927 წლის 25 ივლისს ქ. გორში. პროფტექნიკურ სასწავლებელში ეუფლებოდა სპეციალობას, მაგრამ სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაიწვიეს და იქიდან დაბრუნების შემდეგ, ოჯახური პირობების გამო (უმცროსი ძმა სკოლის მოსწავლე იყო, უფროსი კი უმაღლეს სასწავლებელში ეუფლებოდა ცოდნას. ოჯახს ესაჭიროებოდა მარჩენალი და ვასიკო ნაადრევ ასაკში შეუდგა შრომით მოღვაწეობას) ვეღარ მოახერხა სწავლის გაგრძელება.

როგორც ბატონი ვასიკოს მეუღლე, ქალბატონი ელენე იგონებს, ოჯახის მარჩენალი ძალიან განიცდიდა იმ გარემოებას, რომ უმაღლესი განათლება ვერ მიიღო და მთელი თავისი ყურადღება გადაიტანა შვილების განათლების ხელშეწყობაზე და მართლაც სამივე შვილი ჩამოყალიბდა უმაღლესი დონის სპეციალისტებად (ნინო მუშაობს მოსკოვის ქართულ სკოლაში პედაგოგად; სოფიკო გორის საჯარო სკოლის პედაგოგია, ხოლო მამუკა – მედიცინის მუშაკი, სტომატოლოგი).

ვასიკო რატიშვილი იყო შრომისმოყვარე, ალალი და პატიოსანი კაცი. მან თავისი შრომით, ადამიანისადმი დიდ ყურადღებით და კეთილი დამოკიდებულებით საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. გამოირჩეოდა განსაკუთრებული სტუმართმოყვარეობით. ვასიკოსა და ქალბატონი ელენეს ოჯახს მუდამ დიდ სიხარულს ანიჭებდა ნათესავებისა თუ ნაცნობ-მეგობრების სტუმრობა. ყველა დიდ სიტბოსა და სიყვარულს გრძნობდა რატიშვილების ძირძველ და შრომისმოყვარე ოჯახში.

ბატონი ვასიკო ამაყობდა თავისი გვარით და ყოველ-

ვის სიამოვნებით და ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ იგი შთამომავალი იყო მე-13 საუკუნეში, წმინდა ათონის ეკლესიაში მოღვაწე, ცნობილი სასულიერო პირის, მამა ბასილ რატიშვილისა.

ვასიკო სისტემატურად იძიებდა, ეცნობოდა და აგროვებდა (ქმნიდა საგვარეულო არქივს) ისტორიულ მასალებს მისი გვარის წარმოშობისა და ამ გვარის მატარებელ ადამიანებზე. ეს საქმიანობა მისი ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი გახლდათ.

ვასიკო რატიშვილი იყო ის პიროვნება, რომელმაც პირველმა ჩაუყარა საფუძველი ქალთა სალონის არსებობას ქ. გორში და სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ემსახურებოდა ჩვენი საზოგადოების მშვენიერი წარმომადგენლების სილამაზისა და მიმზიდველი იერსახის უზრუნველყოფის კეთილშობილურ საქმიანობას. მრავალი ქალბატონი დღესაც სიამოვნებით იხსენებს ვასიკო რატიშვილის მართლაც რომ სილამაზის ჯადოსნურ სალონში გატარებულ დღეებს და დიდი მადლიერების გრძნობით იხსენებს ქვეყნის, საზოგადოებისა და ოჯახის წინაშე ვალდებულ კაცს.

ბატონი ვასიკო რატიშვილი ღრმად მორწმუნე ადამიანი გახლდათ. ყველა ქრისტიანულ მართლმადიდებლურ წესს და ადათს იცავდა ზედმიწევნით და სათუთად და სიყვარულით აღნიშნავდა შესაბამის თარიღებს და დღესასწაულებს.

ქალაქის საავადმყოფოში ჰქონდა სალონი და იქ მუშაობდა სიცოცხლის ბოლომდე. თანამშრომლებს არ ავიწყდებოდათ კეთილშობილი კაცი, რომელიც მუდამ მზად იყო მხარში ამოსდგომოდა გაჭირვებულს, გაეცა თავისი სხვის საკეთილდღეოდ, მოფერებოდა გულნატკენს და ენუგეშებინა ხელმოცარული.

ოჯახი კი სათაყვანებელი კერპი გახლდათ ბატონი ვასიკოსათვის, ამიტომაც იცნობდნენ როგორც შრომისმოყვარეს, სტუმრისმოყვარულს და კეთილმოსურნეს. ახლობელ-ნათესავების ხშირი მისვლა-მოსვლის დამკვიდრებულ ოჯახურ ტრადიციას დღესაც სათუთად და სიამაყით აგრძელებენ: მეუღლე ელენე, შვილები ნინო, სოფიკო, მამუკა; სიძეები ანზორ მიხანაშვილი და ზურა კიკნაძე, რძალი გულიკო თეთრუაშვილი და შვილიშვილები – თამარი, ალექსანდრე (კიკნაძეები), ვასიკო და ლევანი (რატიშვილები).

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდი ვასიკო რატიშვილის

ცხოვრებიდან. გია დედაბრიშვილისა და ქეთინო ელიოზიშვილის, გორელების კარგად ცნობილ და საყვარელ ოჯახში, ახლადშობილი ქალიშვილი ნინო მძიმედ დაავადებულა, სიცოცხლეს თურმე სერიოზული საფრთხე ელოდა. საგონებელში ჩავარდნილა ოჯახი. დედას სიზმარი უნახავს, სადაც ურჩევდნენ, რომ თუ გინდა ბავშვი შეგერჩეს, ვასიკო რატიშვილს მონათვლინეო. ვასიკომაც მთელი რიგი წესების დაცვით შეასრულა კეთილშობილური მისია. ნინო ამჟამად სავსებით ჯანმრთელი და ბედნიერია თავის მეუღლესთან და შვილთან ერთად. მხოლოდ ის სტკენს გულს, რომ აღარ ჰყავს კეთილი ხელდასმისა და სპეტაკი სულის პატრონი – ნათლია ვასიკო. ვასიკო რატიშვილი გარდაიცვალა 1996 წლის 16 თებერვალს.

## რუბაშვილი დალი

1950 წელს, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკური ფაკულტეტის დეკანი გაოცებულა, როდესაც წაუკითხავს აბიტურიენტ დალი რუბაშვილის ავტობიოგრაფია, რომელშიც, როგორც იტყვიან, შავით თეთრზე ეწერა, რომ გოგონას მიღებული ჰქონდა მთავრობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ჯილდო „შრომითი მამაცობისათვის 1941-45 წლებში“.

დიახ, დალი რუბაშვილმა, ჯერ კიდევ პატარა გოგონამ, სავსებით დამსახურებულად მოიპოვა მაღალი ჯილდო – იგი, თავის თანატოლებთან ერთად დადიოდა ტყეში და ფრონტისთვის აგროვებდა სამკურნალო ბალახებს და კენკროვან ხილს.

დალი სიმონის ასული რუბაშვილი დაიბადა დუშეთის რაიონის სოფელ ანანურში 1932 წლის 14 ოქტომბერს.

მამა, ბატონი სიმონი დიდი სამამულო ომის წლებში მუშაობდა დუშეთის რაიონის პარტიული კომიტეტის პირველ მდივნად, ხოლო დედა, ქალბატონი ანა ცინცაძე გახლდათ დუშეთის ვაჟა-ფშაველას სახელობის სკოლის პედაგოგი.

ამავე სკოლაში დაიწყო სწავლა დალი რუბაშვილმა 1938 წელს.

სამწუხაროდ, დალის მშობლები გარდაიცვალნენ მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე და ოთხი ბავშვი (დალი



და მისი სამი უმცროსი ძმა) დარჩა ობლად. მათი აღზრდა თავის თავზე აიღო დალის დეიდამ, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე მოახმარა დისშვილების აღზრდას და ცხოვრებაში დაკვალიანებას ისე, რომ საკუთარი ოჯახის შესაქმნელად ვეღარ მოიცალა. აფერუმ მის ქალობას!

დეიდა ცხოვრობდა ჩოხატაურში და აქვე დაამთავრა დალი რუბაშვილმა საშუალო სკოლა 1950 წელს ვერცხლის მედლით.

სკოლის ასაკშივე გამოირჩეოდა ქალბატონი დალი განსაკუთრებული მიზანსწრაფულობით, ენერგიით და შრომისმოყვარეობით. აქტიურად მონაწილეობდა სკოლისა და სოფლის საზოგადოებრივ საქმიანობაში – ეხერხებოდა საზეიმო სადამო-შეხვედრების ორგანიზება და პროგრამების წაყვანა. დაუფლებული იყო მხატვრულ კითხვას; არც ერთი მნიშვნელოვანი სასკოლო ღონისძიება არ ტარდებოდა მისი მონაწილეობის გარეშე; მოკლედ, სკოლისა და სოფლის თვალი გახლდათ სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა გოგონა. ქალბატონი დალი არც უმცროს ძმებს აკლებდა ყურადღებას და მზრუნველობას. ასე, სწავლასა და გარჯაში გაიარა 18-მა წელმა და უკვე თბილისში გაგრძელდა მომავალი ინჟინრის ცხოვრება.

ლიბლომირებული ინჟინერი სამუშაოდ გაამწესეს ბორჯომის ჩამომსხმელ საამქროში, სადაც იგი გვევლინება ჯერ ცვლის უფროსად, ხოლო შემდეგ მექანიკური საამქროს ხელმძღვანელად. ახალგაზრდა ასაკისა და შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილების არქონის მიუხედავად, დალი რუბაშვილმა ახალ სამუშაო ადგილზეც გამოავლინა საქმისადმი მაღალი პასუხისმგებლობა და შესაშური შრომისუნარიანობა, რაშიც იგი ტოლს არ უდებდა სტაჟიან მუშაკ-მამაკაცებს. კოლექტივში მალე მოიპოვა მან საერთო პატივისცემა და სიყვარული,

მაგრამ წინ სულ სხვა სიყვარული ელოდა სიცოცხლით სავესე გოგონას. სულ მალე, კერძოდ 1959 წელს, დალი რუბაშვილმა თავისი მომავალი ცხოვრება დაუკავშირა თანაკურსელ ირაკლი კიკაძეს, რომელიც მუშაობდა გორის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საკონსტრუქტორო განყოფილებაში. მალე დალიც აღნიშნული ინსტიტუტის თანამშრომელი გახდა და ახალგაზრდა წყვილმა დაიწყო ოჯახის შეხმატკბილებული მშენებლობა და მეცნიერული მოღვაწეობა.

დალი რუბაშვილმა თანამიმდევრულად გაიარა ინსტიტუტში არსებული თითქმის ყველა თანამდებობა „სტანდარტიზაციისა და ნორმალიზაციის“ განყოფილების უფროსობამდე, სადაც მუშაობდა პენსიაში გასვლამდე.

დალი რუბაშვილი, როგორც ინჟინერი და ხელმძღვანელი, მალე ჩადგა მოწინავეთა რიგებში. ნაყოფიერი შრომისათვის მიღებული აქვს სამთავრობო ჯილდოები, მრავალი დიპლომი, სიგელი, მადლობა და ფულადი პრემია. სამუშაო კი მართლაც მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო ჰქონდა. მისი ვიზისა და ნებართვის გარეშე ვერცერთი ოფიციალური ტექნიკური ხასიათის საბუთი (ანგარიში, ტექნიკური აღწერილობა, ტექნიკური თუ მუშა პროექტი, საექსპორტო დასკვნა, სახელმწიფო კომისიების აქტები და ა.შ.) ვერ გასცდებოდა ინსტიტუტის ფარგლებს. დალიც, დიდი პრინციპულობით და თავდაუზოგავი შრომით, დღენიადაგ იღწვოდა ინსტიტუტის საერთო გამარჯვებისათვის.

დიდია ქალბატონი დალის ღვაწლი ყველა იმ სამუშაოშიც, რაც კი ინსტიტუტს ჩაუტარებია არსებობის თითქმის ორმოცი წლის განმავლობაში.

დინჯი და აუჩქარებელი ხასიათის გახლდათ ქალბატონი დალი. დამაჯერებელი ტონითა და ხმით იცოდა საუბარი. ცდილობდა გული არავისთვის ეტკინა, თუნდაც სიტყვით. სამართლიანობა და ობიექტურობა იყო დალისთვის მოჭარბებულად დამახასიათებელი და კიდევ – ძალიან ბევრს კითხულობდა, კითხულობდა ყველგან, ყოველთვის და თითქმის ყველაფერს. მას ცოცხალ ენციკლოპედიას უწოდებდნენ თანამშრომლები და ნაცნობ-მეგობრები. შესაშური მეხსიერება ჰქონდა. დიდი ხნის წინ წაკითხული წიგნების შინაარსს მოგიყვებოდა და პერსონაჟებს ჩამოგითვლიდა. კარგად იცნობდა სპორტის სამყაროში მიმდინარე პროცესებსაც.

სამსახურს, საზოგადოებრივ საქმიანობას და ოჯახს დიდი დრო ეთმობოდა, მაგრამ ძილის წინ მაინც აუცილებლად წაიკითხავდა რამეს, ისე ვერ იძინებდა.

მთავარი კი მაინც ის გახლავთ, რომ ქალბატონი დალი გახლდათ ვაჟკაცური ბუნების ადამიანი – მომთმენი და მიმტვევებელი, ერთგული და უანგარო, უმწეოთა დამხმარე და ძლიერი ნებისყოფის პატრონი.

დალის ძალიან უყვარდა პატარა ბავშვები. ხშირად ზეპირად უკითხავდა ლექსებს და უყვებოდა ზღაპრებს. ბავშვებს ძალიან მოსწონდათ ქალბატონ დალისთან ახლობლობა და მისი მონათხრობის მოსმენა. ასეთმა ახლო ურთიერთობებმა თავისი საქმე გააკეთა. შვილიშვილები, რომლებსაც დალი შეესწრო, შედარებით სწრაფად ალაპარაკდნენ და სწრაფად ისწავლეს წერა-კითხვა.

ორი ვაჟიშვილი (ვასიკო, მამუკა) აღზარდეს ქალბატონმა დალიმ და ბატონმა ირაკლიმ. ხუთი შვილიშვილი (ნინო, ანა, ირაკლი, გიორგი, მარიამი) და ერთი შვილთაშვილი ანუქეს ვასიკომ და მამუკამ თავის საყვარელ მშობლებს. სამწუხაროდ, ყველა მათგანს ვერ მოესწრო ქალბატონი დალი. მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა 1999 წლის 9 ივნისს.

სიკვდილის წინაც ვაჟკაცურად ეჭირა თავი. კარგად უწყოდა რა სენიც სჭირდა და რა ელოდა, მაგრამ მნახველებს ღიმილით ხვდებოდა და ასევე ღიმილიანი თვალებით აცილებდა. არავის აგრძნობინებდა უმძიმეს გასაჭირს და აუტანელ ტკივილებს.

ქალბატონი დალი რუბაშვილი დაკრძალულია ქ. გორის კვერნაქის სასაფლაოზე.

## სოსანიძე ბივი

გორში საკმაოდ კარგად ცნობილი გვარის ღირსეული წარმომადგენელი გახლდათ ბატონი გივი. გასული საუკუნის 60-70-იან წლებში ძმები სოსანიძეები (ვანო, გივი, ოთარი) თავიანთი გარჯით, განათლებით და კაცობით ამკვიდრებდნენ სიკეთისა და სიყვარულის, მუხლმოდრეკელი შრომისა და პატრიოტიზმის, სტუმარ-მასპინძლობისა და ქველმოქმედების პრიორიტეტებს.



გივი გიორგის ძე სოსანიძე დაიბადა 1928 წლის 15 აპრილს ქალაქ გორში. 1935 წელს სწავლა დაიწყო გორის პირველ საშუალო სკოლაში, შემდეგ კი სასწავლებლად გადავიდა მუშა-ახალგაზრდობის სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1948 წელს და უმაღლესი განათლების მისაღებად მიაშურა ქ. კოსტრომის საფეიქრო ინსტიტუტს. დიპლომირებული ინჟინერი მუშაობას იწყებს იქვე, ხალიჩების ფაბრიკაში ინჟინერ-ტექნოლოგის თანამდებობაზე. კოსტრომაშივე დაიწყო აქტიური სპორტული მეცადინეობა და გახდა საკმაოდ წარმატებული მოკრივე. მოკრივის შესაძლებლობები არაერთხელ გამოუყენებია ქუჩის მოხუციღნო ახალგაზრდებისგან შეწუხებული გოგონების დასაცავად. და საერთოდ, თავისი მიმზიდველი გარეგნობისა და კეთილშობილური, რაინდული ხასიათისა და თვისებების წყალობით, გივი დიდი პოპულარობით სარგებლობდა გოგონებს შორის და საოცნებო სასიძოდაც ითვლებოდა შიდა ქართლში. თუმცა, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ბატონი გივის გულის მონადირება შეძლო მხოლოდ გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტმა, ასაკით საგრძნობლად პატარამ და უმშვენიერესმა ისანი აბრამაშვილმა. შეიქმნა მოსიყვარულე და ლამაზი ქართული ოჯახი. ეს იყო 1960 წელს.

ორმოცდარვა ლამაზი წელი იცხოვრეს ერთად ბატონმა გივიმ და ქალბატონმა ისანიმ. სამწუხაროდ, 2008 წლის 19 იანვარს მოულოდნელად შეჩერდა გივი სოსანიძის გულისცემა. ორიოდე თვე რჩებოდა მისი 80 წლის საიუბილეო დღემდე.

შავებით შეიმოსა გივის საოცნებო მეუღლე, ქალბატონი ისანი. ცრემლი ჯერაც არ შემრობიათ თვალებზე ბატონი გივის ქალიშვილებს (მაია, ნანა) და შვილიშვილებს (ილია რაზმაძე, გიორგი ციციქიშვილი).

როგორც მაღალი დონის პროფესიონალი ინჟინერი, გივი სოსანიძე აქტიურ შრომით მოღვაწეობას ეწეოდა სხვადასხვა სამეურნეო დარგში, სხვადასხვა თანამდებობაზე: სამკერვალო საამქროში, ატელიეში, ყრუ-მუნჯთა საწარმოო წამოწყებაში (დირექტორად), გორის მექანიკურ ქარხანაში (ხელმძღვანელად), გორის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში (მექანიკური საამქროს უფროსად) და სხვა.

გარდა ორგანიზაციული ნიჭისა და დახვეწილი საინჟინრო აზროვნებისა, რაც არაერთხელ დაადასტურა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში რთული კონსტრუქციული მოწყობილობების დამუშავების პროცესში, გივი სოსანიძე საუკეთესოდ ფლობდა ისეთ პრაქტიკულ პროფესიებს, როგორიცაა: ზეინკლობა, ხარატობა, კალატოზობა, სადურგლო საქმიანობა, ავტოგენური და ელექტრო შედუღება, გაღვანური ტექნოლოგია და მრავალი სხვა. მოკლედ, რომ იტყვიან, ოქროს ხელები ჰქონდა.

სახგასასმელია ის გარემოება, რომ გივი სოსანიძე გამოირჩეოდა კეთილშობილებით, ქველმოქმედებით, ადამიანებისადმი თბილი დამოკიდებულებით. განსაკუთრებით დიდ სიამოვნებას გრძნობდა თუ კი ვინმეს რაიმეთი დაეხმარებოდა და მხარში ამოუდგებოდა. შეიძლება ითქვას, ეს იყო მისი ჰობი. მაგრამ ჰობი სხვაც ბევრი ჰქონდა: უზომოდ იყო შეყვარებული მშობლიურ მიწა-წყალზე. შემოვლილი ჰქონდა მთელი საქართველო და კარგად იცნობდა ყოველ კუთხე-კუნჭულს. გატაცებული იყო თევზაობით და ნადირობით. ნადირობა არა თუ უყვარდა, არამედ მაღალი რანგის მონადირე გახლდათ. მისი ახლობლები დღესაც იხსენებენ ბატონი გივის მრავალ სამონადირო თავგადასავალს.

ქ. კისლოვოდსკში ისვენებდა თურმე ბატონი გივი. რა იცოდა მან, რომ მისმა სახელმა, როგორც საუკეთესო მონადირისა, ამ ქალაქშიც ჩააღწია. დაუბარებიათ იქაურ პარტიულ ბოსებს და უთხოვიათ: „აბა, ქართველო ვაჟკაცო, გადაგვარჩინე სირცხვილს; უკვე რამდენიმე თვეა ვწვალობთ და ტახი ვერ მოგვიკლავსო“. თურმე აზარტის ღიმღმა გადაურბინა სახ-

ეზე ბატონ გივის და მაშინვე შეუდგა სამზადისს. ორი დღეც არ იყო გასული და გივი სოსანიძემ არამარტო თვითონ მოინადირა რამდენიმე ტახი, არამედ ისე ააწყო ნადირობა, რომ მაღალმა პარტიულმა ჩინოსნებმაც დაიკმაყოფილეს დიდ ხნის ნატვრა.

იმ დღიდან მოყოლებული, გივი სოსანიძე სანატრელი და სასურველი „დამსვენებელი“ გამხდარა კისლოვოდსკში.

ვფიქრობთ, იმ ქვეყანაშიც სასურველი სტუმარი იქნება ბატონი გივი, რამეთუ სიცოცხლეში ნაჭედი სასიკეთო საქმეების ექო დიდხანს ისმის მარადიულ სამყაროში.

გივი სოსანიძე განისვენებს ქ. გორის კვერნაქის სასაფლაოზე.

მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის მშობლიური მიწა.

## ქამუშაძე ანზორი

*„...რა არის ჩვენი სიცოცხლე,  
თუ არა საქმე კეთილი?“*

(გრ. ორბელიანი)

სიკეთის კეთების დაუოკებელი სურვილით გაატარა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ბატონმა ანზორ ქამუშაძემ, ამიტომაც დასწყვიტა გული მისმა ამქვეყნიური რეალობიდან სამუდამო სასუფეველში წასვლამ გორის საზოგადოებას. სამგლოვიარო პროცესიაზე ვიღაცას უკითხავს – ვინ იყო ეს კაცი, ამდენი ხალხი რომ მიაცილებსო. უპასუხიათ – კაცი



იყო, უბრალოდ, ნამდვილი კაციო.

ნათქვამია, „...სადაურსა სად წაიყვან“-ო. იმერეთში (დაბა შორაპანი) დაიბადა 1932 წლის 8 მარტს, გორში დაამთავრა მე-5 საშუალო სკოლა, თბილისში მიიღო უმაღლესი განათლება (პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ქიმიის ფაკულტეტი). აქვე ჩაუყარა საფუძველი ახალგაზრდა ოჯახს ქალბატონ ჟუჟუნა ფალავანდიშვილთან ერთად და გორში გაატარა სიცოცხლის ყველაზე ნაყოფიერი შრომითი წლები.

ბატონი ანზორი მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატში (მის განადგურებამდე და გაპარტახებამდე) სხვადასხვა თანამდებობაზე.

ანზორ ქამუშაძე ითვლებოდა ერთ-ერთ საუკეთესო კოლ-ორისტად. მის სახელთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ყველა ის წარმატება, რაც გორულმა ქსოვილმა მოიპოვა საერთაშორისო საექსპორტო ბაზარზე.

ანზორის მამა ალექსანდრე (საშა) ქამუშაძე ვეღარ დაბრუნდა მეორე მსოფლიო ომიდან. სახლიდან სასწრაფოდ გასულს დაუბარებია: „უნემოდ არ ისადილოთ, მალე მოვალ“, მაგრამ...

ორი მცირეწლოვანი ბავშვის (ანზორი და ციალა) აღზრდის მთელი სიმძიმე დააწვა ანზორის უდროოდ დაქვრივებულ დედას, ქალბატონ ელენე გველესიანს. უნდა ითქვას, რომ იმ უმძიმეს წლებში, როდესაც მძვინვარებდა საყოველთაო გაჭირვება, ქალბატონმა ელენემ ღირსეულად შეასრულა ქართველი დედის უპირველესი მოვალეობა, მზრუნველობა და პატრონობა არ მოუკლია პატარებისთვის და გამოზარდა ისინი ბრწყინვალე მოქალაქეებად.

ბატონ ანზორს და ქალბატონ ჟუჟუნას თბილისში შეუყვარდათ ერთმანეთი. ისინი სწავლობდნენ ერთ ინსტიტუტში და პარალელურად მუშაობდნენ – ანზორი მაუდ-კამოლის ფაბრიკაში, ხოლო ჟუჟუნა – რადიოს ქარხანაში.

მოსიყვარულე ცოლ-ქმარს შეეძინა ორი ბავშვი – ქეთევანი (გორის მესამე სკოლის პედაგოგი) და ალექსანდრე (ერთ-ერთი წარმატებული ბიზნესმენი).

ოჯახის წევრები და ახლობელ-ნათესავეები ერთხმად საუბრობენ ბატონი ანზორის სიკეთით სავსე ხასიათზე და ქმედებებზე: „...იყო უადრესად კეთილი, პატიოსანი და თბილი ადამიანი. ხმამაღალი სიტყვაც არ უთქვამს არასდროს“.

ანზორ ქამუშაძის მეუღლე, ქალბატონი ჟუჟუნა იგონებს: „48 წლის თანაცხოვრების მანძილზე ერთი ხმამაღალი სიტყვა არ მახსოვს ჩემი მეუღლისგან. ძალიან დაღმინებული არ ვიყავით, მაგრამ უზომოდ გვიყვარდა ერთმანეთი. ვზრდიდით ორ შვილს და გვიხაროდა ცხოვრება“.

სამწუხაროდ, 2003 წლის 1 დეკემბერს შეწყდა ბატონი ანზორის გულისცემა და ხეციურ საქართველოში შეუერთდა თავის განუყრელ მეგობრებს (გივი გოჩალეიშვილი, ჯულო გოდერძიშვილი, გივი ლალეაშვილი, თემო გვერდწითელი, სეირან მესროფოვი).

სევდამ დაისადგურა ანზორ ქამუშაძის ოჯახში, მაგრამ სიცოცხლე გრძელდება და ბატონი ანზორი არასდროს დაავიწყდებათ მის ორ შვილსა და ოთხ შვილიშვილს. თვალცრემლიანი ქალბატონი ჟუჟუნა კი ასე მიმართავს შორეთში წასულ მეუღლეს:

*ოთხი წელია აღარ ხარ, ვიცი,  
ლოყებს სისველე არ შეშრობია,  
სანთელს ვანთებ და მის ციაგში,  
ჩემი თვალები მაინც გელიან.*

## ჩალაური ვლადიმერი

გორის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი („ნიაგტომატ-პრომი“ 1956-1992 წ.წ.) ჭეშმარიტად გახლდათ ახალგაზრდა სპეციალისტებისა და მეცნიერების სამჭედლო. ინსტიტუტი ემსახურებოდა სახალხო მეურნეობის მრავალ დარგს და აქე-



დან გამომდინარე, კოლექტივში უწყვეტად მიმდინარეობდა სხვადასხვა პროფილის უმაღლესი სასწავლებლების ახლად-კურსდამთავრებულთა მიღების პროცესი. ამ უკანასკნელთ „ნიაგტომატპრომი“ ხვდებოდა თეორიულად და პრაქტიკულად უკვე გამოცდილი და სხვადასხვა ორგანიზაციაში ნამუშევართა დიდი ჯგუფი ე.წ. „სტარიკები“ (უფროსი თაობა), რომელთა ერთ-ერთი მთავარი მოწოდება იყო ახალგაზრდების სპეციალიზაციისა და კვალიფიკაციის განმტკიცება და ამადღება.

სპეციალისტთა უფროსი თაობის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი გახლდათ ვლადიმერ ჩალაური, რომელმაც თითქმის 25 წელი იმუშავა კვლევით ინსტიტუტში და მრავალ ახალგაზრდა სპეციალისტს გაუზიარა თავისი ცოდნა და გამოცდილება.

ვლადიმერ ჩალაური დაიბადა ცხინვალის რაიონის სოფელ კულებითში 1927 წლის 20 იანვარს, ჩვეულებრივი, რიგითი გლეხის ოჯახში. მშობლები (მამა, ილია სოლომონის ძე ჩალაური, დედა, ევდოკია კუზმას ასული მეხენცევა) ყველანაირად ხელს უწყობდნენ შვილებს (თამარი, დაბ. 1910 წ. ცხოვრობს ქ. თბილისში, ნიკოლოზი, 1913-1998 წ.წ.), რომ ჩვენი ქვეყნისთვის იმ ძნელ პერიოდში მაქსიმალურად კარგად ესწავლათ და თავიანთი ცოდნით გარკვეული წვლილი შეეტანათ ქვეყნის აღმშენებლობის პროცესში.

გაუმართლათ მშობლებს – ვლადიმერ ჩალაურმა წარმატებით ისწავლა და საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ (1945), უმაღლესი განათლება მიიღო მაშინდელი საკავშირო დაქვემდებარების ეკონომიკის ინსტიტუტში და მიენიჭა ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაცია.

ვლადიმერ ჩალაურმა თავისი მომავალი ცხოვრება მტკიცედ დაუკავშირა ქალბატონ რუსუდან ნიკოლოზის ასულ შოშიტაშვილს (ამჟამად ცხოვრობს ქ. გორში). ოჯახს შეეძინა ორი შვილი: მარინე (ამჟამად ცხოვრობს და მოღვაწეობს ქ. გორში, ინგლისური ენის სპეციალისტი) და ბესარიონი (ინჟინერ-მშენებელი; ცხოვრობს და მუშაობს ქ. თბილისში).

ვლადიმერ ჩალაურის შრომითი მოღვაწეობა დაიწყო 1953 წელს. სხვადასხვა წლებში მუშაობდა გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატის ტექნიკური კონტროლის სფეროში შრომისა და ხელფასის განყოფილებისა და საგეგმო გან-

ყოფილებების უფროსად (1953-1965 წ.წ.). შრომითი მოღვაწეობის ყველაზე ხანგრძლივი პერიოდი მოდის გორის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტზე, სადაც ვლადიმერ ჩალაურმა საგეგმო განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობაზე იმუშავა თითქმის 25 წლის განმავლობაში.

ვლადიმერ ჩალაური შეიყვარა კვლევითი ინსტიტუტის კოლექტივმა და დიდი პატივისცემით განიმსჭვალა მის მიმართ.

ბატონი ვლადიმერი გამოირჩეოდა პრინციპულობით, მომთხოვნელობით, სამართლიანობით და პატიოსნებით. იყო ძალიან მეგობრული, მუდამ მხარში დგომის სურვილით; აქტიური და დაუხარელი, ყველასთან თანასწორი და საქმის ერთგული.

სამრეწველო თუ სამეურნეო პროდუქციის წარმოების დაგეგმვასთან შედარებით, საკმაოდ რთულია სამეცნიერო მოღვაწეობის გეგმიურ ჩარჩოებში მოქცევა, მაგრამ ბატონი ვალდია (ასე ვეძახდით, მას შემდეგ, რაც „ვლადიმერ ილიჩის“ სახელის ხმარება ცოტა საჩოთირო გახდა ქართული საზოგადოებისათვის) ბრწყინვალედ ართმევდა თავს რთულ პროცესებს.

ყველა შემოქმედებით კოლექტივში იყვნენ და ახლაც არიან, დაწყვილებულ-დაჯგუფებული თანამოაზრეები, რომლებიც კარგად უგებენ ერთმანეთს და ხანგრძლივი ურთიერთობის შედეგად მეგობრდებიან კიდევ. ისინი, უმეტესწილად, მოქმედებენ შესმატკბილებულად და ერთობლივი ძალით აგვარებენ პრობლემებს. ხშირად კამათობენ, ხუმრობენ, ზოგჯერ ჩხუბობენ კიდევ, მაგრამ ისევ მეგობრებად რჩებიან და რაც მეტი დრო გადის, მით უფრო ეჩვევიან ერთმანეთს. ხშირად ამწარებს ერთი მეორეს, თუმცა მაინც ერთმანეთისკენ მიუწევთ გული და უერთმანეთოდ, რაღაცნაირად, უჭირთ.

ასეთ ტანდემად იცნობდნენ „კვლევითი“ ვალდია ჩალაურს და ზაურ თეთრუაშვილს (ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, შიდა ქართლის საერო უნივერსიტეტის რექტორი). სულ კამათობდნენ, ხმამაღლად შელაპარაკებულან, მაგრამ ერთმანეთის გარეშე ვერ სძლებდნენ.

ბატონი ვალდია ცოტა ფიცხი იყო, ბატონი ზაური კი დინჯი, მუდამ მომღიმარი და მშვიდი საუბრის მომხრე. ხმას არასდროს აუმაღლებდა და ტუნებში ოდნავი დიმილით ელო-

და „მეტოქის“ რეაგირებას სახუმარო ოინებზე.

დააკვირდით სურათს და მისვდებით, თუ როგორი უესტით რეაგირებს ვალდია (მარცხნივ) ზაურის (მარჯვნივ) ხუმრობაზე, თითქოს ეუბნება „ბიჭო, შენ რომ მიდიოდი, მე უკვე მოვდიოდი“. ზაური კი დიმილით ელის „კვანძის გახსნას“.




ბატონი ვალდია და ბატონი ზაური ხშირად თამაშობდნენ ჭადრაკს და ბილიარდს. განსაკუთრებით იზიდავდათ ერთმანეთში თამაში. თითოეული მათგანი მეორეში ხედავდა ძირითად მეტოქეს და ყველა ძალას ხმარობდნენ ერთმანეთის დასამარცხებლად. ვალდია მტკივნეულად რეაგირებდა წაგებაზე, ზაური არა, მას განუყრელი და შეუმჩნეველი დიმილი დასთამაშებდა სახეზე. კარგად იცოდა ორივემ, რომ „წაგება და მოგება ძმები არიან“ და ისინიც ძმები იყვნენ ბოლომდე. იყვნენო ვამბობ, რადგან 2002 წლის 5 დეკემბერს ვლადიმერ ჩალაური გარდაიცვალა. დაკრძალულია მშობლიურ სოფელ კულბითში. ბატონ ზაურ თეთრუაშვილს აღარ ჰყავს ყველაზე საინტერესო „სპორტული მეტოქე“, ვეღარ შეძლებს მის დამარცხებას ვერც ჭადრაკის დაფაზე და ვერც ბილიარდის მაგიდაზე. თუმცა ბატონმა ზაურმა კარგად იცის, რომ ძმობა-მეგობრობის დამარცხება მეტად ძნელი რამ არის.

ბატონი ვლადიმერ ჩალაურის სიკვდილმა დიდი მწუხარება მოუტანა მის ოჯახსა და ახლობლებს. მან იცოცხლა ვაჟაკური და პატიოსანი კაცის სახელით.

ბატონმა ვალდიამ შვილივით შეიყვარა რძალი, ქალბატონი მანანა კენხუაშვილი (ეკონომისტი), რომელმაც ორი შვილიშვილი აჩუქა ჩალაურების ოჯახს – ლევანი (თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი) და გიგა (სკოლის მოსწავლე).

ღმერთმა სიკეთის გზით ატაროს ძმები. დიდხანს შეენახოთ და მომავალი თაობებისათვის გადაეცეთ ძვირფასი პაპის ხსოვნა.

## ჭელიძე ვაჟა



კარგი გამოთქმა არსებობს – „დრო ყველაფრის მკურნალია“-ო. ეს ხატოვანი ფრაზა, რაღათქმაუნდა, ხალხების ისტორიის წიაღშია მომწიფებული და ნიშნავს იმას, რომ ადამიანებს, დროთა განმავლობაში, ავიწყდებათ ბევრი რამ, ცუდიც და კარგიც. თუმცა, მიმაჩნია, რომ აღნიშნული სიტყვები, ყველაზე უფრო ნაკლებად, ეხება ჩვენგან წასული ახლობელი ადამიანების ხსოვნას.

იმკვყენად წასულ ადამიანთა ხსოვნა დიდი ხნით რჩება მის შთამომავალთა გულეში, თაობიდან თაობას გადაეცემა დამკვიდრებული ტრადიციების შესაბამისად და ხშირად წარმოადგენს მონაგარის სისტემატური ზრუნვისა და მოფერების საგანს.

ვაჟა ჭელიძე რაჭის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელში, ურავაში დაიბადა 1927 წლის 28 აგვისტოს. მამა, გიორგი პროფესიით ბუღალტერი გახლდათ. დედა, ქალბატონი ბარბარე კი დიასახლისობითა და შვილების სანიმუშო აღზრდით იყო ცნობილი.

გიორგის და ბარბარეს სამი ვაჟიშვილი ჰყავდათ: გივი, ვაჟა და ოთარი (გუჩურა). უფროსი ვაჟი, გივი გარდაიცვალა მძიმე ავადმყოფობით სულ პატარა ასაკში. სამწუხაროა, რომ დღეს არც ერთი ძმა აღარ არის ცოცხალი.

ვაჟა ჭელიძემ 1943 წელს დაამთავრა ქ. გორის მეოთხე საშუალო სკოლა. იგი ერთ-ერთ წარჩინებულ მოსწავლედ ითვლებოდა, რამაც საშუალება მისცა, შეფერხების გარეშე მიეღო უმაღლესი ტექნიკური განათლება საქართველოს პო-

ლიტექნიკურ ინსტიტუტში ავტოსაინჟინრო სპეციალობით. დიპლომირებულმა ინჟინერმა შრომითი ნათლობა მიიღო გორის ავტოსატრანსპორტო გაერთიანებაში, სადაც იმუშავა სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე უფროსი დისპეტჩერის თანამდებობაზე.

ვაჟა ჭელიძემ თავისი ცხოვრება დაუკავშირა გულო ფოსურს (გორის №5 საბავშვო ბაღის აღმზრდელი) და ბედნიერმა წყვილმა რუდუნებით შექმნა ოჯახი, რომელიც თანდათანობით მოძლიერდა და თავისი კუთვნილი ადგილი დაიკავა სტუმართმოყვარე ოჯახებს შორის.

ვაჟა ჭელიძემ და გულო ფოსურმა გამოზარდეს ორი შვილი: გია (ექიმი-სტომატოლოგი, ცხოვრობს და მოღვაწეობს სანკტ-პეტერბურგში, ჰყავს მეუღლე, ასევე სტომატოლოგი) და ქეთინო (ამჟამად ქ. გორის ს. ხუციშვილის სახელობის ცენტრალური ბიბლიოთეკის თანამშრომელი).

ბატონ ვაჟას ორი შვილიშვილი ჰყავს: ვაჟა (იურისტი, 24 წლის) და ლიკა (სტუდენტი, 19 წლის).

კარგი სამეგობრო წრე ჰყოლია ბატონ ვაჟას. სამწუხაროა, რომ მრავალი მათგანი დღეს უკვე აღარ იმყოფება ჩვენს შორის (გ. სოსანიძე, გ. მაისურაძე, გ. დაფქვიაშვილი, ედ. ხუციშვილი და სხვა).

ვაჟა ჭელიძეს პირველი სასიყვარულო გატაცებიდან ჰყავს უფროსი ქალიშვილი ლია მათიაშვილი, რომელიც ამჟამად არის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი და მუშაობს ქ. ხაშურის ბავშვთა პოლიკლინიკაში. როგორც ქეთინო ჭელიძე აღნიშნავს, მათ ძალიან კარგი ურთიერთობა აქვთ და ნამდვილ დობას უწევენ ერთმანეთს.

ვაჟა ჭელიძე პურმარილისა და მხიარული დროსტარების ტრფიალი ყოფილა და ასეთად მას იცნობდნენ გორის ფარგლებს გარეთაც.

ახლობელ-ნათესავები იხსენებენ, რომ ბატონი ვაჟა დიდი ყურადღებითა და მზრუნველობით გამოირჩეოდა თავისი შვიდი წლით უმცროსი ძმის ოთარის (გუჩური) მიმართ. გორში, დღესაც სიამოვნებით იხსენებენ მათ განსაკუთრებულ ძმობასა და ურთიერთსიყვარულს.

ვაჟა ჭელიძე გარდაიცვალა 49 წლის ასაკში, 1977 წლის ივლისში. დაკრძალულია გორში, კვერნაქის სასაფლაოზე. მის გვერდით განისვენებს მისი მეუღლეც, ქალბატონი გულო

ფოსური (გარდ. 1994 წელს)

კარგად ახსოვთ გორელებს, თუ როგორ აღნიშნეს მეგობრებმა ვაჟას დაბადებიდან 50 წლისთავი უკვე მის გარეშე. შეხვედრა-საღამოზე მიწვეულ იქნენ რესტორან „ინტურისტის“ დამკვრელები (გივი, „კიკა“ და სხვა), რომლებიც თვალზე მომდგარი ცრემლების თანხლებით ერთხელ კიდევ ასრულებდნენ ვაჟას საყვარელ მუსიკალურ ფრაგმენტებს. ეს იყო 1977 წლის აგვისტოს ბოლოს.

## ხარშილაძე დავითი



დავით ბარამის ძე ხარშილაძე დაიბადა სოფელ ნაცარგორაში, გლეხის ოჯახში, 1932 წლის 25 ოქტომბერს. ბატონი ბარამისა და ქალბატონ ოლიკა გრიგალაშვილის ოჯახში იზრდებოდა ერთი ქალიშვილი (სულიკო) და ხუთი ვაჟიშვილი (დავითი, ვახტანგი, ოთარი, როლანდი, ნუგზარი).

დავით ხარშილაძემ დაწყებითი და საშუალო სკოლების დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატის პროფტექნიკუმში. დიპლომირებულმა ტექნიკურმა მუშაკმა შრომითი მოღვაწეობა დაიწყო ხსენებული კომბინატის პირველი რიგის საქსოვ ფაბრიკაში, ხოლო პარალელურად სწავლას განაგრძობდა საქართველოს მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმში (ქ. თბილისი).



სულ მალე, ბატონ დავითს, როგორც მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტს, მიანდეს კომბინატის მეორე რიგის საქსოვ ფაბრიკაში 80-მდე ახლადშექმნილი საქსოვი დაზვის მონტაჟი, გაწყობა და ექსპლუატაციაში გაშვება, რასაც მან ბრწყინვალედ გაართვა

თავი.

დავით ხარშილაძე გამოირჩეოდა საქმისადმი ერთგული დამოკიდებულებით, ენერგიულობით და მაღალი დონის პასუხისმგებლობით. კარგად ერკვეოდა დარგის ტექნიკური ბაზისა და ახალი ტექნოლოგიური სისტემების ტექნიკურ ნიუანსებში. ამავედროულად დაჯილდოებული იყო გამომგონებლობის ნიჭით. წარმოებაში დანერგა არაერთი რაციონალიზატორული წინადადება, მათ შორის „საქსოვ დაზგებზე ბუფერული ღვედების დამაგრების ახალი მეთოდი და მოწყობილობა“, რამაც მნიშვნელოვანი ეფექტი მოუტანა წარმოებას.

მთელი თავისი სიცოცხლე ბატონმა დავითმა მუხლმოუხრელ შრომაში გაატარა, რაზედაც ნათლად მეტყველებს მის მიერ მიღებული მრავალი ჯილდო: „სოცშეჯიბრში გამარჯვებული“ (1973, 1976, 1978), „მე-9 ხუთწლედის დამკვრელი“, მედალი „ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის“, „კომუნისტური შრომის დამკვრელი“, „საპატიო სიგელი“ (1972) და მრავალი მადლობა. დავითის წარმატებული შრომითი მოღვაწეობის შესახებ მონაცემები შეტანილია ი. ბერძენიშვილის წიგნში „გორული ქსოვილის ოსტატები“ (1965 წ.).

სხვადასხვა წლებში დავით ხარშილაძე მუშაობდა ქ. გორის ელექტრომეურნეობის სისტემაში, კულტურის სასახლეში და სხვა.


მშრომელი და პატიოსანი კაცის სახელით იხსენებენ ბატონ დავითს შიდა ქართლის რეგიონში.

ოჯახის, მეგობრებისა და ახლობელ-ნათესავების მოყვარული კაცი სიცოცხლის ბოლომდე კეთილი საქმის კეთებით იყო გამსჭვალული. იმ საბედისწერო დღესაც (1994 წლის 7 ნოემბერი) რვა ოჯახისთვის ამზადებდა შეშას, უნდოდა გაეხარებინა ახლობლები, მაგრამ ვერ აიცდინა მუხანათურად წაქცეული ხის დარტყმა და...

დავით ხარშილაძე დაკრძალულია ქ. გორის კვერნაქის სასაფლაოზე.

დიდი ტრაგედია განიცადა ხარშილაძეების ოჯახმა. საყვარელი მეუღლე, მამა და პაპა მოაკლდათ: ქალბატონ ცისანა პაპუაშვილს (ამჟამად პენსიონერია), შვილებს, ნანასა და გოჩას (ამჟამად მუშაობენ წამყვან სპეციალისტებად „მაგთის“ ოფისში) და შვილიშვილებს (თამარი, დავითი, ნიკო, ლიზი).

## ჯავახიშვილი შოთა



საქართველოში ყოველთვის განსაკუთრებით უხაროდათ და უხარიათ ვაჟიშვილის დაბადება (ამას თავისი ობიექტური და ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს) და რაოდენ ბედნიერი გახლდათ დავით ჯავახიშვილისა და ალექსანდრა ბატონისაშვილის ოჯახი, როდესაც 1932 წლის 28 აგვისტოს (მარიამობის დღეს) ქვეყანას მოეველინა ბიჭი, რომელსაც სახელად დაარქვეს შოთა. ზეიმობდა ოჯახი, ხარობდნენ ახლო ნათესავები და მეგობრები, სოფელ ბერშუეთს მოეძალა სიამაყის გრძნობა.

შოთა ჯავახიშვილის მომავალმა ცხოვრებამ და მოღვაწეობამ თვალნათლივ დაადასტურა იმ დღეთა სიხარულისა და იმედიაწიანობის საფუძვლიანობა.

ქალბატონ ალექსანდრასა და ბატონ დავითის ოჯახში აღიზარდა კიდევ ორი ვაჟიშვილი: ზვიადი (ელექტრო-ინჟინერი) და მურაზი (სოფლის მეურნეობის მუშაკი, ამჟამად ცხოვრობს სოფ. ბერშუეთში, მამა-პაპისეულ სახლში).

შოთა ჯავახიშვილმა ბავშვობა გაატარა სოფელ ბერშუეთში, აქვე დაამთავრა რვა კლასი (აღსანიშნავია, რომ რუსულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა ი. სტალინის სიყრმის ამხანაგი, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი გრიგოლ გლურჯიძე) და სწავლა განაგრძო ქ. რუსთავის მეტალურგიულ ტექნიკუმში, პარალელურად კი მუშაობდა მარტენის ცხელ საამქროში.

1954 წელს გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში, აღმოსავლეთ ციმბირში. ჯარიდან დაბრუნების შემდეგ,

სწავლასმოწყურებულმა ახალგაზრდამ გადაწყვიტა შეესწავლა კვების მრეწველობის ტექნოლოგია, მანქანები და მოწყობილებები.

ოცნება აისრულა და 1960 წელს დიპლომირებულმა ინჟინერმა მუშაობა დაიწყო გორის საკონსერვო ქარხანაში ინჟინერ-მექანიკოსად. ამავე წელს შოთამ იქორწინა თავის თანაკლასელ, სოფელ ბერშუეთის საყვარელ და სარძლოდ სანატრულ გოგონაზე – ზინა ზაუტაშვილზე.

ახალგაზრდა ოჯახმა დიდი რუდუნებითა და სიყვარულით აღზარდა და დააფრთიანა ორი ულამაზესი ქალიშვილი: ხათუნა (ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი, გორის მე-9 სკოლა) და ქეთინო (დიასახლისი).

შვილებივით უყვარდა ბატონ შოთას თავისი სიძეები – ზურაბ ელიაშვილი და ფრიდონ ბერუაშვილი (მედიცინის მუშაკი, ტრავმატოლოგი, ცხინვალის რეგიონიდან დევნილი). არც სიძეები დარჩენილან ვალში და როგორც იტყვიან, საყვარელ სიმამრს „აჩუქეს“ ხუთი შვილიშვილი – შოთა, ანზორი და თათია ელიაშვილები და დავითი და ნინო ბერუაშვილები.

როგორც აღვნიშნეთ, 1960 წელს დაიწყო შოთა ჯავახიშვილის, როგორც ახალგაზრდა სპეციალისტის დიდი და საინტერესო შრომითი გზა. დიდი შრომისმოყვარეობისა და ტექნიკური პროგრესისაკენ დაუცხრომელი ლტოლვის წყალობით შოთასგან სულ მალე ჩამოყალიბდა რაციონალურად მოაზროვნე და მაღალი რანგის სპეციალისტი, რომელმაც თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა გორის საკონსერვო გიგანტი-კომბინატის წარმატებებში და საერთაშორისო ასპარეზზე აღიარების საქმეში.



შოთა (მარცხნივ)

შოთა ჯავახიშვილი ხელმძღვანელობდა ერთ-ერთ ყველაზე უფრო ჭირვეულ და მნიშვნელოვან სამსახურს, რასაც ჰქვია ასეულობით მანქანა-დანადგარის, მექანიკურ თუ ელექტრო-მოწყობილების, აპარატის, აგრეგატის, მექანიზაციისა თუ ავტომატიზაციის სისტემების და სხვა უამრავი

(პატარა თუ დიდი) მოწყობილობის ერთდროული, გამართული და შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფა ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

შოთა ჯავახიშვილს თავის კოლექცია-მეგობრებთან (გ. ბეჭაური, გ. როსებაშვილი, გ. თათეშვილი, შ. მეცხვარიშვილი, ვ. ჯოჯიშვილი, შ. რომელაშვილი, კ. მოციქულაშვილი, დ. გუდაძე, ვ. ლომინაძე, ს. ელიავა, ზ. დუმბაძე, მ. ჯავახიშვილი და სხვა) ერთად არაერთი უძილო ღამე გაუთენებია მოთუხ-თუხე და მოგრიალე საამქროებში, რათა არ შეჩერებულიყო პროდუქციის გამოშვების უწყვეტი ციკლი. ერთი რომელიმე დანადგარის, თუნდაც დროებით, მწყობრიდან გამოსვლა იწვევდა მნიშვნელოვან ზარალს, მითუმეტეს კომბინატში გადასამუშავებელი ნედლეულის მიწოდების პიკურ თვეებში, როდესაც რამდენიმე ათეული ავტომანქანა და საზიდარი იდგა რიგში და მალეფუჭებად ხილ-ბოსტნეულს გასდიოდა წვენი და ა.შ.

ვისაც უნახავს მაშინდელი საკონსერვო ქარხნების მუშაობა, ადვილად წარმოიდგენს, თუ რა სირთულეები და სიძნელეები იდგა იმ სამსახურის წინაშე, რომელსაც წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა შოთა ჯავახიშვილი.

ხელმძღვანელობდა და მერე როგორ!! მას არაერთი სამთავრობო ჯილდო, პრემია თუ დიპლომი აქვს მიღებული და არაერთი მადლობა წარმატებული მუშაობისათვის. ბატონი შოთა არამარტო საწარმოო პროცესების შეუფერხებელ მიმდინარეობაზე ზრუნვით იყო დაკავებული, არამედ იმაზე ფიქრითაც, თუ როგორ უფრო უკეთესად და ეფექტურად შეიძლებოდა გადაწყვეტილიყო ესათუის კონკრეტული ტექნიკური საკითხი.

შოთა ჯავახიშვილი ავტორი იყო უამრავი რაციონალური წინადადებისა, რომელთა პრაქტიკულმა დანერგვამ მნიშვნელოვანი ეკონომიკური ეფექტი მოუტანა წარმოებას.

შოთა ჯავახიშვილს იცნობდნენ როგორც სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებულ კაცს. მტკივნეულად განიცდიდა აფხაზეთში და სამაჩაბლოში მიმდინარე პროცესებს. ესწრაფოდა ყოველივე პროგრესულს. ოცნებობდა მეცენატობაზე – თურმე ხშირად უთქვამს, „ნეტავ, მქონდეს შესაძლებლობა, რომ გორს ჩემი სახელით აგუშენო დიდი სასახლე, რომელშიც ახალგაზრდობა აღიზრდება პროგრესულ იდეო-

ლოგიაზე“. თავად შოთას ძალიან უყვარდა წიგნი. ბევრს კითხულობდა. უყვარდა სპორტი და განსაკუთრებით ჭიდაობა (სიტაბუკეში იყო სოფელ ბერშუეთის წამყვანი ფალავანი). იზიდავდა ჭეშმარიტი ქველმოქმედება; დაპირება არ უყვარდა მაინცდამაინც, მაგრამ უხმაუროდ ეხმარებოდა ყველას შეძლებისდაგვარად. ბატონ შოთას სძულდა სიტყვები: შური-ანობა, სიბოროტე, უმადურობა. მუდამ სიკეთის კეთებისთვის იყო შემზადებული შინაგანად.

პირდაპირობით და გულმართლობით იცნობდა შოთა ჯავახიშვილს საზოგადოება.

მეუღლე იხსენებს: „იყო შორსმჭვრეტელი, ალალი გულის, პრაქტიკული ნიჭით დაჯილდოებული, საქმიანი, მზრუნველი და დიდადმოამაგე პაპა, მამა და მეუღლე“.

მართლაც, რომ არაფერს და არავის არ მოაკლო თავისი მზრუნველობა ბატონმა შოთამ: თავის ძმებს გაუწია მშობლობა და მაქსიმალურად ედგა მხარში; ორივე ქალიშვილს შეუქმნა ცხოვრების საუკეთესო პირობები; დღედაღამ ფიქრობდა და ზრუნავდა შვილიშვილებზე; მეგობარ-ახლობლებშიც არ ჰყოლია მომდურავი. არც მშობლიური სოფლისთვის მოუკლია ყურადღება – ბერშუეთში დღესაც წარმატებით მუშაობს შოთას მიერ დამონტაჟებული წყალსაქაჩი სადგური.

აი, ასეთი კაცი გახლდათ შოთა ჯავახიშვილი.

იგი, მძიმე ავადმყოფობის შედეგად, გარდაიცვალა 2002 წლის 2 მარტს. დაკრძალულია სოფელ ბერშუეთში, იქ, სადაც განისვენებენ მისი მშობლები.

## ჯაფარიძე შალვა

შალვა ნიკოლოზის ძე ჯაფარიძე განეკუთვნება ქართველ ვაჟკაცთა იმ მრავალრიცხოვან არმიას, იმ ახალგაზრდებს, რომლებმაც თავისი სიცოცხლე უანგაროდ მიიტანეს სამშობლოს დაცვის სამსხვერპლოზე და არ შეურცხვენიათ თავი სახელოვანი ქართული საბრძოლო ისტორიის, ოჯახისა და შთამომავლობის წინაშე. ქართულმა ფოლკლორმა მათ შინამოუსვლელები უწოდა.

1920 წლის მაისის ერთ მზიან დღეს, გორის რაიონის სოფელ ატენში, ნიკოლოზ ჯაფარიძისა და მარიამ (მამო)

მამულაშვილის ოჯახში, რვაწლიანი მოლოდინის შემდეგ, დაიბადა ერთადერთი ვაჟიშვილი, რომელსაც სახელად შალვა დაარქვეს.

ენით აუწერელი სიხარული და ბედნიერება ეწვია შვილსმომლოდინე ოჯახს. ოჯახი კი მართლაც სანაქებო ჰქონდა ნიკა (ნიკოლოზ) ჯაფარიძეს. იგი ერთ-ერთ ძლიერ მოსახლედ ითვლებოდა სოფელ ატენში. ჰყავდა უამრავი ცხვარი; სასოფლო-სამეურნეო სავარგულებითაც იყო განთქმული ეს ოჯახი და ქველმოქმედებითაც. სოფელში სიმართლის დამცველადაც ეგულებოდათ ნიკა და განსაკუთრებით კი ქალბატონი მამო, რომელსაც მოფერებით „ყველას მამიდასაც“ კი უწოდებდნენ.

პატარა შალვა როცა ტიროდა, თურმე მშობლები არ ცდილობდნენ მის დამშვიდებას, იტიროს, იხმაუროსო ჭერმა. იმასაც იგონებენ ახლობლები, რომ პატარა ბიჭის ნაფეხურებზე ვაზის ფოთლები დააფარეს, რათა დიდხანს შემორჩეს ნაკვალევი მშობლიურ ბაღ-ვენახსო.

სხვა უფრო ძვირფასი ნაკვალევი დაუტოვა ქვეყანას ბატონმა შალვამ თავისი ორი ბრწყინვალე ქალიშვილის (ციცო, ნათელა) სახით. თვითონ კი ვეღარ დაბრუნდა. უკანასკნელი ცნობა ქ. შეპეტკოვოდან მოვიდა, სადაც მოუსწრო ომის დაწყებამ 20 წლის სიცოცხლით სავსე ახალგაზრდას.

შალვა ჯაფარიძეს ბავშვობიდანვე ეტყობოდა ფიზიკური სიძლიერისა და მოხდენილი ვაჟკაცური გარეგნობის ნიშნები. კარგად ჭიდაობდა და უკრავდა გიტარაზე. თბილისში, დეიდაშვილის სანახავად ჩასულა შალვა, თეატრის ერთ-ერთ მოღვაწეს მოსწონებია რა მისი გარეგნობა და შესაძლებლობები, მიუწვევია შოთა რუსთაველის როლის შესასრულებლად, მაგრამ...



გორში საშუალო სკოლის (ახლანდელი მეოთხე) დამთავრებისთანავე ეწვია სიყვარული შალვას. შალვას მამას, ნიკას, ეტლში ჩაუსვამს ერთადერთი ვაჟიშვილის გულისსწორი, ანო მანძულაშვილი და მიუგვრია სახლში, თან უთქვამს „ვინც გიყვარს, სახლში უნდა გყავდესო“. მაშინ შალვა 18 წლის თუ იქნებოდა. ოცი წლისა კი უკვე გახლდათ ორი ქალიშვილის მამა.

დიდხანს ელოდნენ დამწუხრებული მშობლები ომში წასულ ბიჭს, მაგრამ ბედისწერამ სხვაგვარად განკარგა მეომარის ბედი. ვერ წარმოედგინათ ერთადერთი შვილის სიკვდილი. სახლიდან შორს არ მიდიოდნენ, მახარობელი რომ მოვა, პირველმა ჩვენ უნდა გავიგოთ ბიჭის დაბრუნების ამბავიო.

ასეთია მშობლის გული. „ჩემი ბიჭი ისეთი კარგია, ტყვიას არავინ ესვრისო“, – ხშირად უთქვამს ეს სიტყვები შალვას მომლოდინე მამას, ბატონ ნიკას. შალვას დედას თურმე ხშირად ეკითხებოდნენ, რატომ აუგად არ მოიხსენიებ სტალინს, მან ხომ ერთადერთი შვილი წაიყვანა ომში. პასუხი კი ყოველთვის ასეთი იყო: „მან თავისი შვილიც გაუშვა საბრძოლველად“.

მძიმე იყო მოლოდინი.

ამასობაში წამოიზარდნენ და დაოჯახდნენ შალვა ჯაფარიძის ქალიშვილები.

ციცოს მართლაც რომ ბედნიერი ოჯახი ჰქონდა. მოსიყვარულე ქმართან ერთად ზრდიდა ორ ვაჟკაცს – ლერის და შალვას (პაპის მოსახელეს). პაპას დაემსგავსა გარეგნულობითაც და სამწუხაროდ, ბედითაც. 18 წლის ასაკში გარდაიცვალა სისხლის გათეთრებით. სამინე-



**ციცო შვილთან ერთად**

ლი ტრაგედიის სიმძიმეს ვეღარ გაუძლო ქალბატონი ციცოს გულმა და შვილი მარტო არ დატოვა იმქვეყანაში.

„ციცო მასწავლებელი,  
ეს ჭკვიანი ქალი,  
თავის შვილთან წავიდა,  
ცრემლიანი თვალით“. /ნ. ჯაფარიძე/

შალვა ჯაფარიძის მეორე შვილს, ნათელა ჯაფარიძეს ჰყავს ვაჟიშვილი გელა (გიორგი), რომელსაც თავის მხრივ ცხოვრებას უღამაზებენ შვილები (ნათია, მარიამი) და შვილიშვილები (ნატა, ბარბარე).

შალვა ჯაფარიძის შთამომავლები ხშირად ნახულობენ ქალბატონი ანოს საფლავს, რომლის ქვაზედაც მეუღლის (შალვას) სურათიც არის გამოსახული და შვილის, ქალბატონი ნათელას სიტყვებიც:

*„სამშობლოს თავი შევწირე,  
უცხო მხარეში ვკვდები,  
ვაი, რომ ოცი წლისა ვარ,  
ოცი წლისადვე ვრჩები.  
მადლობელი ვარ, ჩემო ანო,  
მე შენს სახელს ვფიცავ,  
რომ შენ გვერდით შემინახე,  
ჩემი კუთვნილი მიწა.“*

## აკტორისაბან

ადამიანის შინაგან ნიშან-თვისებათა შორის უდიდესი და უმნიშვნელოვანესი დადებითი მუხტის მატარებელი გახლავთ მადლიერების უფაჩიზესი გრძნობა.

ადამიანი, რომელსაც ღმერთის მიერ აქვს ნაბოძები მადლიერების გრძნობა, პირველ რიგში, უკვდავყოფს თავის სახელს და იმ პიროვნებათა ხსოვნას, რომლებმაც ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე არ დაიშურეს ძალა და ღონე და უანგაროდ და უხვად გასცეს კეთილი გასაცემელი.

წიგნის ფურცლებს სიამოვნებით და სიამაყით ვუთმობ გორის შემოქმედებითი ინტელიგენციის ბრწყინვალე წარმომადგენელს, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ზაურ თეთრუაშვილს, რომელიც პატივს მიაგებს არამარტო აწგარდაცვლილთა ხსოვნას, არამედ ეფერება ჩვენს რიგებში მყოფ იმ ადამიანებსაც, რომლებმაც მნიშვნელოვან წილად განსაზღვრეს მისი მეცნიერული და ცხოვრებისეული პერიპეტეები და ჯერ კიდევ ახალგაზრდა სპეციალისტს გაუკვალეს გზა სამომავლო რთულ და მკაცრ ასპარეზისკენ.

## იხსენებს ზაურ თეთრუაშვილი

(გვიან ნათქვამი მადლობა)

2008 წლის აგვისტოში, 49 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც ქ. გორში მესამედ ჩამოვედი. პირველად საშუალო სკოლიდან, ალბათ მეშვიდე-მერვე კლასში, ექსკურსიაზე ვიყავით ჩვენი კლასელები, მეორედ 1956 წლის 9 მარტს. მესამე ჩამოსვლა დაკავშირებული იყო გორის რაიონის სოფელ კარალეთის კოლმეურნეობაში ეკონომისტის თანამდებობაზე სამუშაოს დაწყებასთან. მაშინ რას ვიფიქრებდი, რომ გორში ეს მესამე ჩამოსვლა იქნებოდა ჩემი გორის რაიონში და გორში სამუდამო ცხოვრების დასაწყისი და, რომ ჩემი მშობლიური დუშეთის რაიონის სოფელ არანისის მსგავსად, ეს ადგილი ჩემთვის მსოფლიოში ყველაზე ძვირფასი გახდებოდა.

ამ ხნის განმავლობაში ძალიან ბევრ ადამიანთან მქონია პირადი თუ საქმიანი ურთიერთობა და ასევე ძალიან ბევრი მათგანისგან მიგრძენია კეთილი, ადამიანური სიტბო, დამინახავს და არც არასოდეს დამავიწყდება თუ როგორ მიწყობდნენ ხელს კარგ სპეციალისტად რომ ჩამოვეყალიბებულეყავი. თუ ხარ ადამიანი, უნდა იყო ისეთი, როგორებიც ისინი იყვნენ (არიან). მათი ადამიანურობა, სხვათა მიმართ კეთილი დამოკიდებულება, უანგარო ზრუნვა ახალგაზრდაზე, სანიმუშო მაგალითი უნდა იყოს XXI საუკუნის ბევრი ქართველისათვის.

სამწუხაროდ, იმ ადამიანების ნაწილი დღეს უკვე მარადისობაშია გადასული. ისინი 18 წლის ახალგაზრდა სპეციალისტს და 47 წლის მეცნიერებათა დოქტორს სამსახურში მიღებაზე უარს არ ეტყობდნენ იმის გამო, რომ პირველი ძალიან ახალგაზრდაა, ხოლო მეორე – წლოვანი.

მე კი, ეს ყველაფერი კარგად მახსოვს და ვიდრე ცოცხალი ვარ, არც არასოდეს დამავიწყდება. ამის შესახებ ზეპირ საუბარში არაერთხელ მითქვამს და ჩემი მათდამი მადლიერების გრძნობა გამომიხატავს.

ამჟამად, როდესაც ცხოვრების მიმწუხრი მიღვას, მინდა ასეთი ადამიანები გავიხსენო, ქალაღზე გადავიტანო და ყოველგვარი ყალბი თავმდაბლობის გარეშე ვთქვა, რომ ცხოვრებაში ჩემს მიერ წინ გადადგმულ ყოველ ნაბიჯში მათ

ღვაწლსაც ყოველთვის ვხედავდი და ვხედავ.

ამის საშუალებას მაძლევს მეცნიერებათა დოქტორის, ქ. გორის საპატიო მოქალაქის, ღირსების მედლის კავალერის, ბატონ ვახტანგ ჭანკოტაძის მეტად ორიგინალური გამოცემა – გარდაცვლილ ადამიანთა ხსოვნის წიგნი („...და ვანთებ სანთელს“).

გორში, სოფლის მეურნეობის სამმართველოში მიმიღო სამმართველოს უფროსმა, ბატონმა აპოლონ ქუჩუკაშვილმა. ეს იყო სახელმწიფო სამეურნეო მუშაკთან სამსახურის თაობაზე ჩემი პირველი ვიზიტი. მიღება ძალიან კარგი ჰქონდა, შემდგომშიც არაერთხელ დავრწმუნებულვარ, რომ ბატონი აპოლონი ახალგაზრდობის მოყვარული ადამიანი ბრძანდებოდა.

მის საუბარში, ადამიანებთან ურთიერთობაში ვერ შეამჩნევდით, რომ ის წლოვანებით უფროსი და თანამდებობით მაღალ საფეხურზე მდგომი იყო. ჩემი დაკვირვებით, იგი სხვა ადამიანების მიმართაც ყოველთვის სითბოს აფრქვევდა და მათზე ზრუნვას გამოხატავდა.

ბატონმა აპოლონმა მომიწონა გადაწყვეტილება, რომ კოლმეურნეობაში მინდოდა დამეწყო მუშაობა, შემაქო კიდევ. მითხრა, ძალიან კარგი, რომ ჩვენს რაიონში გაგანაწილეს. კოლმეურნეობაში მართლაც გვჭირდება ეკონომისტი და იმედი მაქვს, როგორც წითელდიპლომიანი ახალგაზრდა სპეციალისტი, გაამართლებ შენი პროფესორ-მასწავლებლების იმედსო. თანაც მათ მიმართ თბილი სიტყვები არ დაუშურებია.

იმ წელს, საქართველოს კოლმეურნეობებში, ჩემი პროფესორების, ბატონების: ნიკო იაშვილისა და ოთარ საღარჯიშვილის ინიციატივით საქართველოს მთავრობამ პირველად დაუშვა ეკონომისტის თანამდებობა. ბუნებრივია, ეკონომისტის უფლება-მოვალეობები, მისი ფუნქციები, ამოცანები ჯერ კიდევ კარგად არ იყო განსაზღვრული და ბევრმა არც იცოდა ეკონომისტს რა უნდა ეკეთებინა კოლმეურნეობაში. ბატონმა აპოლონმა ამ საკითხის ირგვლივ თავისი მოსაზრებები მკაფიოდ ჩამოაყალიბა და ჩემთვის ნათელი გახდა ის ძირითადი ორიენტირები, რაზედაც მთავარი ყურადღება უნდა გამემახვილებინა მუშაობაში. მან მოკლედ დამიხასიათა კარალეთის კოლმეურნეობა, როგორც მოწინავე და გამორჩეული მთელ საქართველოში. მითხრა, რომ ამჟამად კოლმეურნეობის თავმ-

ჯდომარე შვებულებაშია, დასასვენებლად არის ოჯახით და იქ რომ მიხვიდე, ვერავინ ვერაფერს გეტყვის გადაწყვეტილით. უმჯობესია აგვისტოს ბოლოს ჩამოხვიდე, ისიც ადგილზე იქნება და მუშაობასაც დაიწყებო.

ბატონმა აპოლონმა ისიც მითხრა, რომ კარალეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე რესპუბლიკაში ცნობილი მეურნე კაცი და საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი გრიშა ჯაშაშვილიაო.

ბატონ აპოლონთან საუბარი რომ დავამთავრე, წამოვდექი წასასვლელად. უცებ მეუბნება: „მთაში გაზრდილი, მთიული კაცი ჩემსავით დაბალი ტანისა ხარო. დედაჩემი სულ იმას მეუბნებოდა არა ჰქენი ტანო და მეც მისი ხათრით, არ გავიზარდე დიდი. დედაშენიც ასე ხომ არ გეუბნებოდაო“. სინამდვილე მან ისეთი თბილი იუმორით თქვა, რომ ორივემ სიცილით დავამთავრეთ საუბარი. რას წარმოვიდგენდი, სამსახურის სათხოვნელად მისული, კმაყოფილი დავრჩებოდი და სიცილით წავიდოდი ჩემს მშობლიურ სოფელში.

შემდგომში უფრო მეტად დავრწმუნდი, რომ ბატონი აპოლონი დიდი იუმორის პატრონი ბრძანდებოდა და ეს თვისება მასაც და მასთან მოსაუბრესაც უადვილებდა საქმის გადაწყვეტას. ამ იუმორში ნიშანდობლივი კი ის იყო, რომ იგი ყოველთვის მიგანიშნებდათ თავის დაბალ ტანზე.

ბატონი აპოლონის უადრესად თბილი, ადამიანური თვისებები გასაკვირი არ იყო მისთვის, ვინც იცოდა მისი გენეოლოგია. იგი იყო ქართული საბავშვო მოთხრობების კლასიკოსის, შიო მღვიმელის (ქუჩუკაშვილის) პირდაპირი შთამომავალი (აპოლონის მამა და შიოს მამა ძმები იყვნენ). ასევე ახლო ნათესაური კავშირი არსებობს დიდი ქართველი მეცნიერის კორნელი კეკელიძის შთამომავლობასთან. ბატონი კორნელის დედა ბატონი აპოლონის ბიძაშვილი იყო.

შიო მღვიმელის სამი ქალიშვილიდან ერთ-ერთი ქალბატონი ქეთევანი დღეს 95 წლისაა, ახლაც არ კარგავს სიკეთის ქმნის სურვილს და იუმორის გრძნობას. ქეთევან ქუჩუკაშვილი და მარიკა ბარათაშვილი ბიძაშვილ-მამიდაშვილები არიან.

ისიც უნდა ვთქვათ, რომ ბატონ აპოლონს ცხოვრების უღელს სათნო ქალბატონი, მარგო ბიბილაშვილი უწევდა (კარალეთიდან).

ბატონმა აპოლონმა 77 წელი იცოცხლა. მთელი თავისი

შეგნებული ცხოვრება სამშობლოს სამსახურში გაატარა. იგი ყოველთვის მაღალ თანამდებობებზე მუშაობდა და როგორც მისი მეგობრები მის გარდაცვალებასთან დაკავშირებით გაზეთში გამოქვეყნებული ნეკროლოგიით იტყობინებიან, იგი იყო უადრესად შეუპოვარი პიროვნება, კარგი მეურნე, ხელმძღვანელი და საუკეთესო ოჯახის პატრონი. მან ორი ვაჟი და ერთი ასული აღუზარდა სამშობლოს – თამაზი და ილია. სამწუხაროდ, ისინი დღეს ცოცხლები აღარ არიან. თამაზი ცხოვრობდა და მუშაობდა თბილისში, გარდაიცვალა 61 წლის ასაკში 2006 წელს. დაკრძალულია თბილისში; ილია გარდაიცვალა 55 წლის ასაკში, 2002 წელს. დაკრძალულია გორში, მამის გვერდით.

თამაზიმ უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი დაამთავრა, ილიამ – სამედიცინო ინსტიტუტი (გორში დიდხანს სათავეში ედგა გორის სანეპიდსადგურს და სისხლის გადასხმის ცენტრს).

ბატონების: აპოლონის, თამაზის და ილიას სიცოცხლეს დღეს ღირსეულად აგრძელებენ მათი შთამომავლები: თამაზის მხრიდან – 30 წლის ზურიკო. იგი ბიოფიზიკოსია, არის ბიოფიზიკის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, სტუდენტების საყვარელი აღმზრდელი; ილიას მხრიდან – შვილები მაკა და ირინა, სისხლის გადასხმის მთავარი ექიმი – ორივე უმაღლესი განათლებით. შვილიშვილი ილია 12 წლის;

ბატონი აპოლონის ორივე შვილი – თამაზი და ილია საუკეთესო სპორტსმენები, ტანმომზადებები, საქართველოს ნაკრების წევრები და სხვადასხვა ტურნირების გამარჯვებულები იყვნენ. მათი მეუღლეები არიან ქეთინო დემურიშვილი და ნანა ნინიაშვილი. ორივე უმაღლესი განათლებით. ამჟამად ქეთინო მუშაობს მეტალურგიის ინსტიტუტში, ანალიზური ქიმიის ლაბორატორიაში, ნანა – კერძო სექტორში.

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ ქალბატონების ქეთინოს და ნანას თბილი ურთიერთობა თავიანთ მამამთილთან. მათივე სიტყვებით, ბატონ აპოლონის ისინი მიანდა თავის შვილებად და როგორც შვილებზე, ისე ზრუნავდა მათზე.

ბატონ აპოლონთან შეხვედრის შემდეგ, აგვისტოს ბოლოს, ისევე ჩამოვედი გორში ჩემი ბარგით (ერთ ხელ ლოგინს თუ ბარგი ჰქვია) და კარაღეთში ავედი. კოლმეურნეობის კან-

ტორაში მეორე დღეს მივედი. შეხვედი კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ბატონ მიხეილ (გრიშა) ჯაშაშვილს. მან კარგად მიმიღო, მითხრა, რომ ეკონომისტი მართლაც გეჭირდება და თანახმა ვართ მუშაობა დაიწყო, მაგრამ რაღაც გაურკვეველობა არის და პარტიის რაიკომის მესამე მდივანთან ჩადი, იქ გაარკვეე შენი საქმეო. სამი დღე გავატარე მდივანთან შეხვედრის მოლოდინში, მისი კაბინეტის წინ. მესამე დღეს რაიკომში მოდის თვითონ ბატონი მიხეილ ჯაშაშვილი და მეუბნება, მე უკვე ველაპარაკე მდივანს და წამოდი, თანახმაა მუშაობა დაიწყო.

გაირკვა, რომ უნივერსიტეტში ჩემი თანაჯგუფელი, რომელიც არ გაანაწილეს სამუშაოზე და თვითმოწყობის სტატუსით დატოვეს თბილისში, გორის რაიონის სოფელ ტყვიავიდან იყო. ტყვიავიდან იყვნენ წარმოშობით რაიკომის მდივანიც და ბატონი მ. ჯაშაშვილიც. ჩვენი კურსელი მისულა მდივანთან და სამუშაო უთხოვია, თანაც კარაღეთის კოლმეურნეობაში. ის, ვინც კარაღეთში არის განაწილებული, ჩამოსულია და მე, როგორც ადგილობრივი გამიშვითო (ეს „ადგილობრივი“, მე რომ პირველ კურსზე ჩავირიცხე, მესამე კურსელი იყო და მერე ერთად დავამთავრეთ).

ბატონი მ. ჯაშაშვილი შეხვედრია რაიკომის მდივანს და უთქვამს, რომ ერთი საწყალი, მოკრძალებული ბიჭი ჩანს, ლოგინი უკვე ჩამოტანილი აქვს და ცოლოა, უკან ნუ გავუშვებთო. მდივანი დასთანხმებია და ასე დავიწვეე მუშაობა.

ბატონი მიხეილის მიერ ჩემგან დამოუკიდებლად ჩემი საქმის დადებითად გადაწყვეტა მაშინ, ალბათ, ისე ვერ აღვიქვი, როგორც დღეს. ეს იყო უკეთილშობილესი საქციელი, ზრუნვა სხვა ადამიანებზე და განსაკუთრებით ახალგაზრდებზე. აღნიშნულში არა ერთხელ დავრწმუნებულვარ და უსახდუროდ მადლიერი ვარ. მახსოვს, მის კაბინეტში ჩვენი საუბრები ეკონომისტის ფუნქციებზე, მის მოვალეობებზე, იმაზე, თუ მე როგორ წარმომედგინა ყველაფერი ეს და როგორ განმეხორციელებინა პრაქტიკულად. არა ყოფილა ჩემს მიერ თუნდაც მცირედი რამის გაკეთება ჩემს სფეროში, რომ მას დადებითად არ შეეფასებინა, ჰქონდა შენიშვნებიც. ერთხელ, როდესაც კოლმეურნეობის საქმიანობის ჩემებური ანალიზი გავაკეთე ბოლო 15 წლის განმავლობაში, მომიწონა, კოლმეურნეობის საერთო კრებაზეც თქვა და დაამატა, რომ ჩვენს საქმიანობაში

პირველად გვაქვს მოსაველიანობის ზრდის დინამიკა, მისი სურათი, საიდანაც მკაფიოდ ჩანს, რომ ხილის მოსავალს მკვეთრად გამოხატული მეწლეურობა ახასიათებს. შემდეგ თვითონ მან ილაპარაკა მეწლეურობის შემცირების ამოცანებზე და ყველა ბრიგადას თავისი ამოცანები დაუსახა.

ბატონი მიხეილის მიერ ჩემთან ჩატარებული კონსულტაციები, ლექციები (ამას თამამად ვლაპარაკობ) ეს იყო ჩემი პირველი გზის გაკვლევა ცხოვრებაში. რომ არა მის მიერ რაიკომის მდივანთან ჩემი საკითხის უმტკივნეულოდ მოგვარება და სხვა კეთილი საქმეები, არ ვიცი ჩემი ცხოვრება ასე წავიდოდა თუ არა, ან სწორად წარიმართებოდა თუ არა.

ბატონ მიხეილ ჯაშაშვილს პერიოდულად ჩამოვყავდი გორში, სოფლის მეურნეობის სამმართველოში, იქ მაცნობდა ხალხს, მათ საქმიანობას და ყველას სთხოვდა, თუ რაიმე გაუჭირდეს, არ დაიხაროთ, ყველაფერში გაარკვიეთო. მერე, უკან წამოსვლისას, მანქანაში მეუბნებოდა: მოკრძალებით მოქცევა კარგია, მაგრამ გადაჭარბებული მოკრძალებაც არ ვარგაო; ქალბატონმა ნათელამაც ხომ ასე გითხრაო. ქალბატონი ნათელა მგვლადე (დმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს იმქვეყანაზე), როგორც გახეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ კორესპონდენტი, კარალეთის კოლმეურნეობაში იყო ჩამობრძანებული, წასვლისას მითხრა, ძალიან მოკრძალებული ხარ, ცოტა უფრო მეტი სითამამე გჭირდებაო. გახსოვდეს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია საპასუხისმგებლოც არის და საამაყოცო. შენც უნდა იამაყო.

მიხეილ (გრიშა) ჯაშაშვილმა 64 წელი იცოცხლა (1911-1975). იგი წარმატებული სამეურნეო მოღვაწე იყო და ბევრი სიხარულიც განუცდია. მას და მის მეუღლეს – ქალბატონ თამარ აბრამაშვილს (გარდ. 1984 წ.) ოთხი შვილი შეეძინათ: ცისანა, უშანგი, ანზორი, თამარი. თუმცა დიდი ტკივილიც არ მოჰკლებიათ. უშანგი 1960 წელს ტრაგიკულად გარდაიცვალა, ანზორიმ სულ რამდენიმე თვეს იცოცხლა. ქალბატონი ცისანა (მათემატიკოსი) გარდაიცვალა 2005 წელს. მისი ქალიშვილი, ქეთევან ჯაშაშვილი-ალხაზიშვილისა გორის №1 სკოლის დირექტორად მუშაობს. თამრიკომ უმაღლესი პედაგოგიური განათლება მიიღო და ისიც №1 სკოლაში მუშაობს (ბიოლოგი).

კარალეთის მეურნეობაში, ჩემი მუშაობის პერიოდში, ბუღალტერიაში მუშაობდნენ მთავარი ბუღალტერი ლევან ჩუხრუკიძე (1913-1996), მისი მოადგილე რეზო გოგიაშვილი, ბუღალტრები – სერგო ხარბეგაშვილი, მაყვალა გოგიაშვილი, მარო ჭალიძე, მოლარე ჟენია გურგენაშვილი. აქვე დავასახელებ კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილეს თედო ჩუხრუკიძეს და მთავარ აგრონომს გიორგი დეკანოსიძეს.

მხოლოდ კარგი მოგონებებით და მონატრებით ვისხენებ მათთან ერთობლივ მუშაობას, მათ თბილ დამოკიდებულებას, ზრუნვას ჩემს მიმართ. მახსოვს როგორი მონდომებით მეხმარებოდნენ საჭირო, ამათუემ სტატისტიკური მასალის მოძიებაში და მათ სწორ ანალიზში. როგორც ახალდამთავრებულს და პრაქტიკის არმქონეს, როგორ მავარჯიშებდნენ „რუსულ საანგარიშოზე“ (მაშინ სად იყო თანამედროვე გამომთვლელი მანქანები) და მერე შეჯიბრს ვაწყობდით. ვაღიარებ, ამ შეჯიბრებებში ყოველთვის მე გამოვდიოდი დამარცხებული.

ბატონი გიორგი დეკანოსიძე გამორჩეულად წვრილი, ლამაზი ასოებით წერდა. ყველა ბრიგადის, რგოლის მიხედვით ყველა საბუთი „ჩაწიკწიკებული“ ჰქონდა. მახსოვს, როგორი გულმოდგინებით მასწავლიდა სასოფლო სამუშაოების შრომატევადობის დადგენას.

ისინი არც იმას ივიწყებდნენ, რომ პროდუქტებით, შეშით ვყოფილიყავი ყოველთვის მომარაგებული. ბატონმა ლევან ჩუხრუკიძემ, ვანისკა მრუელიშვილთან ერთად კეთილი შუამავლის როლიც კი შეასრულა – ჩემი მომავალი მეუღლის მშობლებთან.

კარალეთის კოლმეურნეობაში მუშაობა ჩემი ნათლობა იყო. არ ვაჭარბებ და ვიტყვი, აქ მომუშავე ადამიანებთან ურთიერთობა ჩემთვის ადამიანური, ცხოვრებისეული და სპეციალობის დაუფლების სანიმუშო სკოლა იყო. ამასთან, ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ისინი ჩემთან ერთად ძიების პროცესში იყვნენ, თუ როგორ ჩამოყალიბებულიყო ეკონომისტის უფლებები, მოვალეობები, როგორ სრულყოფილი ყოფილიყო ყოველივე.

ვამაყოფ, რომ ამ საქმიანობაში მათთან ერთად მეც ვმონაწილეობდი. ეს პერიოდი ხომ საქართველოს კოლმეურნეობებში ეკონომისტის თანამდებობის შემოღების პირველი ცდა იყო, რომელიც შემდეგ ყველა კოლმეურნეობაში დაინერგა.

კარალეთში მუშაობა რომ დაიწყო, კლია ხარბგაშვილის სახლში მქონდა დაქირავებული ოთახი (საქანაანთ კოლას ეძახდნენ სოფელში). ოჯახი ძალიან კარგი და კეთილი იყო. შვილები პატარები ჰყავდათ (ორი შვილი). ქალბატონი სპარტაკი ოჯახის დიასახლისი, სამსახურიდან დაბრუნებულს აუცილებლად მავახშმებდა. ოთახი ძალიან დიდი და ცივი იყო. გავცივდი და ფილტვების ანთება დამემართა. ექიმმა მირჩია, პატარა ოთახი შეემერჩია. დიდ გარეჯვარში მიშოვეს მართლაც პატარა ოთახი აკოფაშვილი ჩიტოს სახლში. აქაც საუკეთესო ხალხი შემხვდა. როგორც საკუთარ შვილს, ქალბატონი მარუსა ჯავახიშვილი-აკოფაშვილისა (ჩიტოს მეუღლე) ძალიან მიფრთხილდებოდნენ. რომ დავიძინებდი, აუცილებლად შემოვიდოდა და საბანს მისწორებდა, გაცივებული კიდევ არ გავცივებულყავი. ასევე და-მმური სიყვარულით მიფრთხილდებოდა მათი ქალიშვილი – ჟენია აკოფაშვილი.

კოლმეურნეობის შემდეგ ჩემი მეორე სამუშაო ადგილი იყო გორის საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. გორში ჩემთვის სამუშაოს შოვნაში უდიდესი როლი შეასრულეს, რეკომენდაცია გამიწიეს ასევე უაღრესად კეთილმა ადამიანებმა: კარალეთის საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელმა, ჩემი მეუღლის მეგობარმა, ქალბატონმა მარტა გუსაშვილმა, მისმა ნათესავმა, პარტიის გორის რაიკომის მესამე მდივანმა ბატონმა ვალერი აკოფაშვილმა (1920-1991) და მეორე მდივანმა, ბატონმა შალვა ლოლაძემ (1921-1985). მათმა რეკომენდაციამ დაუდო კეთილი სათავე ჩემს მომავალ საქმიანობას, რისთვისაც უსაზღვროდ მადლობლი ვარ და ვლოცულობ მათი სულებისათვის, ღმერთო, ამრავლე მათი შთამომავლობა და გააძლიერე. ჩემმა შთამომავლობამ იცის მათი ამაგის შესახებ ჩემს მიმართ და ვთხოვ, არც მათ დაივიწყონ, ყოველთვის კეთილად მოიგონონ ისინი.

ინსტიტუტში მუშაობის პერიოდში უნდა გავიხსენო ბატონები გიორგი გაბრიელის ძე ბერძენიშვილი (1907-1984), ლევან ნიკოლოზის ძე ხარატიშვილი (1907-1989), უმანგი არჩილის ძე კოვზიაშვილი (1933-1992).

ისინი შემოქმედებითი მოღვაწეობის დიდი ორგანიზატორები იყვნენ. მათ სახელთან არის დაკავშირებული გორში სამეცნიერო-ტექნიკური აზროვნების ჩამოყალიბება და გან-

ვითარება. ისინი ის ადამიანები იყვნენ, ვინც ცხინვალის გზატკეცილი სამეცნიერო კადრების სამჭედლოდ აქციეს და ყველანაირად ხელს უწყობდნენ მათ სამეცნიერო-კვლევითი და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაში. მარტო ის ფაქტი, რომ ინსტიტუტის თანამშრომლებისათვის ღია იყო მაშინდელი საბჭოთა კავშირის დიდი და წამყვანი სამეცნიერო ცენტრების კარებები და რომ მათთვის ხუთი საცხოვრებელი ბინა აშენდა ორი სამეცნიერო-კვლევითი კორპუსით, მათი დიდი დამსახურებაა.

*P.S. შევეცდებით, წიგნის მეოთხე ნაწილში შევიტანოთ მონაცემები გორის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ყოფილი დირექტორების შესახებ.*

## სარჩევნი

ავტორისაგან .....	3
1. არსენიძე შოთა .....	4
2. ბერუაშვილი დურმიშხანი .....	8
3. ელბაჭიძე ლევანი (ლეო) .....	12
4. ელუაშვილი თენგო .....	14
5. ზარნაძე ანზორი .....	19
6. ზაუტაშვილი ზურაბი .....	21
7. თეთრუაშვილები .....	24
8. მაჭარაშვილი თამარი .....	28
9. მეცხვარიშვილი შამილი .....	31
10. ონიაშვილი ალექსანდრე (საშა), ონიაშვილი მერაბი, თინათინ გობეჯიშვილი-ონიაშვილი .....	33
11. რატიშვილი ვასიკო .....	37
12. რუბაშვილი დალი .....	40
13. სოსანიძე გივი .....	43
14. ქამუშაძე ანზორი .....	46
15. ჩალაური ვლადიმერი .....	48
16. ჭელიძე ვაჟა .....	52
17. ხარშილაძე დავითი .....	54
18. ჯაფახიშვილი შოთა .....	56
19. ჯაფარიძე შალვა .....	59
20. იხსენებს ზაურ თეთრუაშვილი .....	63